# საერთო გაზეთი

№43 (776)
ოთხშაბათი
11 დეკემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.


## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება

მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული დესტრუქციული და დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორები გეგმავენ, 2024 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პროცესი არ შედგეს და ყველა გზით ხელი შეუშალონ საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის არჩევას, რაც ხელოვნურად გამოიწვევს სახელისუფლებო კრიზისს. ამ მიზნით, დანაშაულის ორგანიზატორთა მიერ განიხილება, განსაკუთრებით მიმდინარე კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს, აგრეთვე, ნაწილობრივ პარასკევს სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყვეს 2-3 ადამიანის მსხვერპლი. აღნიშნული მსხვერპლშეწირვით შეეცდებიან საპროტესტო მუხტის გაზრდას, რადიკალური განწყობების წახალისებას, რაც მათი განზრახვით უნდა გადაიზარდოს უმართავ პროცესებში და შენიღბული გზით დაბრალდეს ხელისუფლებას.

აღნიშნული პროცესების განხორციელებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი აქტორები, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების კოორდინაციით. არსებული გეგმა ვითარდება ე.წ. „ფერადი რევოლუციებისთვის“ დამახასიათებელი აპრობირებული სცენარებით, მათ შორის, სხვადასხვა რიტუალური სცენებითა და ეტაპობრივი დესტრუქციით, რომლის კულმინაციას წარმოადგენს მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობა, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს მოვლენათა ესკალაციას.

აღნიშნულს ადასტურებს, ბოლო დღეებში, სახეშენიღბული დესტრუქციული ჯგუფების მიერ გარე მეთვალყურეობის კამერების დაზიანების ფაქტები, როგორც პროტესტის არეალში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რაც ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, გართულდეს დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება.

მოვუწოდებთ მოსახლეობას, გამოიჩინონ მაქსიმალური სიფრთხილე, რათა ნებსით თუ უნებლიეთ არ გახდნენ დანაშაულებრივი გეგმის მონაწილე ან მსხვერპლი. ამასთან, პირადი უსაფრთხოების დაცვის ფარგლებში, შეეცადონ ნებისმიერი საეჭვო ვითარება თუ პროვოკაციის მცდელობა დააფიქსირონ მათ ხელთ არსებული სხვადსხვა ტექნიკური საშუალებით და დაუყოვნებლივ მიმართონ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.





**ასე იქცეოდნენ ეკლესიის მტრები და ღვთისმგმობელები ხატმებრძოლეობის და კომუნისტების პერიოდში, ინგრეოდა ტაძრები და წვავდნენ ხატებს**

# ირაკლი კობახიძე: ყველას ვპირდები, რომ სახელმწიფოს სიმტკიცეს ვერავინ შეარყევს და ახალ წელსაც ყველა იზეიმებს ისე, როგორც ეს შეეფერება ჩვენს კულტურას, ტრადიციებსა და ჩვენი ხალხის ინტერესებს




საქართველოში „მაიდანის“ მცდელობა ჩავარდა, ახლა ერთადერთი, რასაც ცდილობენ მცირე ზიანი მაინც მიაყენონ, ქვეყანას და ქვეყნის მოსახლეობას არ აცადონ ახალი წლის ზეიმი.

ასეთი მცდელობების შემდეგ ამ ადამიანებს კიდევ უკვირთ, თუ რატომ აგებენ ყოველ ჯერზე არჩევნებს. უკვე ცხრა არჩევნები აქვთ წაგებული. თუ ასე გააგრძელებენ, კიდევ უფრო მძიმედ წავა მათი საქმე. მე ყველას ვპირდები, რომ სახელმწიფოს სიმტკიცეს ვერავინ შეარყევს და ახალ წელსაც ყველა იზეიმებს ისე, როგორც ეს შეფერის ჩვენს კულტურას და ტრადიციებს, როგორც ეს შეეფერება ჩვენი ხალხის ინტერესებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ყველაფერი იქნება ძალიან კარგად ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი დღის წესრიგით მუშაობას.

ჩვენ გვაქვს შესასრულებელი სამთავრობო, 4-წლიანი პროგრამა და ის დაპირებები, რომელიც გავეცით წინასაარჩევნოდ. ჩვენ გვაქვს ძალიან ამბიციური გეგმები, გვსურს, რომ 40 მლრდ-ით გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკა, გვინდა, რომ 4%-მდე შევამციროთ უმუშევრობა, 4 %-მდე შევამციროთ სიღარიბე, შევქმნათ ახალი საუნივერსიტეტო სისტემა და ა.შ. ამასთან ერთად, ამ პროგრამის შესრულებასთან ერთად, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური დღის წესრიგი. არაერთხელ გვისაუბრია ჩვენ ლიბერალური ფაშიზმის გავრცელებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და 4 წლის თავზე საქართველოში და უფრო ადრეც, უნდა იყოს თავიდან ბოლომდე დასრულებული ლიბერალური ფაშიზმი. უნდა იყოს განეიტრალებული ის ძალები, რომლებიც ცდილობენ ჩვენი საზოგადოების გახლეჩვას და ურთიერთდაპირისპირებას. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით 4 წლის თავზე და უფრო ადრეც მივიღოთ სრულიად განსხვავებული ვითარება.

აღარ დარჩება კოჰაბიტაციის არავითარი ნიშანწყალი, რაც ძალიან მძიმედ აისახებოდა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე და თავიდან ბოლომდე გარედან იყო ეს ყველაფერი მოხვეული, არავითარი კოჰაბიტაციის ნიშანწყალი და არავითარი ლიბერალური-ფაშიზმი ჩვენს ქვეყანაში, ეს არის ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი,“ – განაცხადა პრემიერმა.

## facebook

ლუკა ეხვაია: ჯეკ მეტლოკის – აშშ-ის ერთ-ერთი უხუცესი დიპლომატისა და აშშ-ს ყოფილი ელჩის საბჭოთა კავშირში კომენტარი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე (ადამიანის, რომელიც თითქმის მთელი ცივი ომის მანძილზე, 35 წელი ემსახურა საკუთარ ქვეყანას და დიპლომატიური კარიერის დასრულების შემდეგ არაერთი ბესტსელერი შექმნა. დღემდე განაგრძობს პრინსტონში, ნიუ ჯერსიში აკადემიურ მოღვაწეობას ისტორიისა და ლინგვისტიკის მიმართულებით):

„საქართველოში ტრაგიკული სიტუაციაა. საქართველოში ხალხი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობა ყველა მათ პრობლემას გადაჭრის, რაც ღიმილის მომგვრელია. მე მიყვარს ეს ქვეყანა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ ინტერესში შედის არ გადაემტერონ რუსეთს და არ ცადონ ნატოში შესვლა, რადგან რუსეთი არ დაუშვებს საქართველოში ნატოს ბაზების განთავსებას, ისევე, როგორც არც აშშ დაუშვებს უცხო სახელმწიფოების სამხედრო ბაზების განთავსებას კუბაში, მექსიკაში ან კანადაში.“

გია იაკობაშვილი: გახარიას მცირე მახაკვალები „იმედს“ მიუვარდნენ – განაცდითო!

ან „მთავარი არხი“ არ გაგიგიათ, ან „ტვ პირველი“ და ან „ფორმულა“?

ჯერ მაგათთან რომ მივარდნილიყავით და მერე „იმედში“, კიდევ ვიტყოდი, რა კარგი გოგო-ბიჭები იყვნენ, მაგრამ ბოლოს სულ გაგიჟდნენ-მეთქი.

ახლა კი, რა უნდა ვთქვა? ნაცების დავალებით ნაცობას აბრალებთ ტელევიზიას, რომლის დარბევა და მიტაცება ნაცების მიერ, იმდენად დიდი და შავი ლაქაა, რომ ყველა იმ ქაღალდზეა გაჟონილი, რომელზეც საქართველოს უახლესი ისტორია იწერება.

ამ ბექა ლილუაშვილს კიდევ, გიორგი გახარია „ვიქტორია სეკრეტი“ ჰგონია, საკუთარი თავი კი – მისი ანგელოზი

ედიშერ გვენეტაძე: „ლიბერალური ფაშიზმი, ბოლშევიკური ტროცკიზმი დაძრწის საქართველოში და ეძებს თავის დასაყრდენს.

ნახეთ, რა ხდება!

გუშინ, ლიბერალ-ფაშისტებმა ქვეყნის მთავარ საახალწლო ნაძვის ხესთან – იქ, სადაც ბავშვები უნდა მივიდნენ და იზეიმონ, დაწვეს იესო ქრისტეს გამოსახულებიანი კუბო, მაშასადამე, დაწვეს ქრისტე ანუ სიყვარული, ურთიერთმიტევება, კეთილშობილება, მეგობრობა, „მამული, ენა, სარწმუნოება“...

გააკეთეს ის, ვისი იდეური შთამომავლებიც არიან (არ გამოვრიცხავ – ფიზიკურიც) და რასაც სჩადიოდნენ ჯალალ ად-დინი (სიონის გუმბათზე ფეხისალაგი მოიწყო), თემურლენგი (ქვათახევის მონასტერში ბერები ცოცხლად დაწვა), შაჰ აბასი (დავით გარეჯში 6 ათასი ბერი ცოცხლად დაწვა) აღა-მაჰმად- ხანი (თბილისის აოხრება და ეკლესია-მონასტრების გადაწვა), ბოლშევიკი ტროცკისტები (ეკლესია-მონასტრების მასობრივი ნგრევა, სასულიერო მსახურების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა).

ამიტომაც, ადამიანებო, დაფიქრდით. შეხედეთ, რა ულმერთობასთან, რა საშინელებასთან, რა სატანიზმთან და, საერთოდ, რა უბედურებასთან გვაქვს საქმე.

ისე, ზოგიერთ გულმავიწყს შევახსენებ: გაიხსენეთ, როგორ დაწვა ხელისუფლებაში მოსვლამდე, რუსთაველის პროსპექტზე, იგივე ლიბერასტულ-ფაშისტურ-ტროცკისტულმა ორგანიზაცია “თავისუფლების ინსტიტუტმა” 2000 წელს, ბოკერია-რამიშვილის ხელმძღვანელობით კუბო, რომელიც მოსამართლეთა ფიტულებით იყო სავსე.

ამას შემდეგ მალევე მოჰყვა ხელისუფლებაში სააკაშვილის მეთაურობით “ნაცმოძრაობის” მოსვლა და ქვეყანაში ცხრაწლიანი სისხლის მდინარეები – გლდანის ეკლესიის დარბევა, ფერიას მთაზე მშენებარე ეკლესიის დარბევა, ასობით ახალგაზრდის ქუჩებში ჩახოცვა, პატიმრების წამებით სიკვდილი...

საქართველოს მოქალაქენო!

იგივე საფრთხის და ბევრად უფრო მეტის წინაშე ვართ ამჟამადაც.

ამიტომაც გამოფხიზლდით და წინ აღვუდგეთ ყველანი ერთად ამ უსაშინელეს ბოროტებას, თორემ თითოეული ჩვენთაგანის კარებთან უსწრაფესად ჩაიჩოქებს ომისა და სიკვდილის აქლემი.

გამოფხიზლდით!

P.S. სამწუხაროდ, როგორ სწრაფად ავიწყდებათ ადამიანებს ისტორიის აწ უკვე გავლილი გაკვეთილები.

გამოფხიზლდით!“



# ოპოზიციამ სამოქალაქო ომს მოაწერა ხელი



*გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი, ექსპერტი, საჯარო მმართველობის დოქტორი ᲗᲐᲛᲗᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ*

**— ქალბატონო თამთა, როგორ აფასებთ ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებას 2028 წლამდე მოლაპარაკებების გახსნის დაპაუზების თაობაზე და რამ განაპირობა ეს განცხადება?**

— ქართული სახელმწიფო თავისი ისტორიული და კულტურული ფასეულობებით, ღირსებაზე დგას. მისი ეს ისტორიული ღირსება და მაღალი მორალური ფასეულობები ჩვენი კულტურის საწინდარია, რაც ნამდვილი ევროპული ფასეულობაა. ამიტომ ევროპულ ოჯახში ჩვენი ინტეგრაცია უფრო ჩვენს ორგანულ მდგომარეობასთან დაბრუნებაა და ამისთვის „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესი 2008 წლიდან 2012 წლამდე სრულად შეჩერებული იყო.

რაც შეეხება კობახიძის გადაწყვეტილებას, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დადგეს ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი, ამას საქმიანი საჭიროებით ავხსნი. ქვეყანა 2028 წლამდე ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქართული სახელმწიფო ევროპულ ოჯახს ეროვნული ღირსების განცდით დაუბრუნდეს. 2028 წლამდე გატარდება ყველა საჭრო სამუშაო და ქვეყანა შესრულებული საქმით წარდგება ევროკავშირის წინაშე. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის ამ შინაარსით შეფასება ჩემში არანაირ უხერხულობას არ იწვევს, პირიქით, ვემხრობი ევროკავშირთან „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საუბრის მანერას და მხარს ვუჭერ.

**— მიუხედავად იმისა, რომ ბორელმა, ჰერჩინსკიმ და სხვებმა თავად განაცხადეს, რომ მოლაპარაკებების გახსნა საქართველოსთან ჯერ კიდევ ივნისში შეგვიჩერეს, კობახიძის გადაწყვეტილებას პროტესტი მოჰყვა. კვირაზე მეტია, რუსთაველზე აქციები იმართება. როგორ აფასებთ ამ პროცესს? ამ დროს მოლაპარაკებები გაუხსნეს მოლდოვას, სადაც თურმე არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. რას უკავშირდება ეს ორმაგი სტანდარტები? მეტიც, ბორელმა მთავრობისთვის დასახმარებელ თანხაზე განაცხადა, რომ ნჯო-ებს და ოპოზიციას გადაურიცხავს. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

— ქართული ოპოზიცია პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდა. რასაც აკეთებენ, ღიად ხელმოწერაა იმაზე, რომ ისინი ანტისახელმწიფოებრივ ძალებს წარმოადგენენ და „გლობალური ომის პარტიის“ ცვილის ფიგურები არიან. პოლიტიკური თამაშის წესებზე უარით და ქუჩის პროცესებში გადამზადებული ჯგუფების ჩართვით, ოპოზიციამ ხელი მოაწერა სამოქალაქო ომს თბილისის ქუჩებში, რაშიც მათ ხელს კოლექტიური დასავლეთი უწყობს. საბედნიეროდ, მათი ეს ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოვა, რადგან ხალხის დიდი ნაწილი ბრძენია, სახელმწიფო ინსტიტუტები მყარია და ქართული სახელმწიფო წარსულში ველარ დაბრუნდება, მით უფრო, სამოქალაქო დაპირისპირების დიდ ტრაგედიაში. გვარამია-მელია, ნაცები, „ლელო“ და გახარია აღარ არიან ოპოზიცია. ისინი არიან დამნაშავე ძალები, პუტჩისტები. მოვა დრო და როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეები, პასუხს აგებენ. ამ პროცესებში ყველას როლი ბოლომდე გაიშიფრა. კოლექტიური დასავლეთი გაკეთებული განცხადებებითა თუ ფულით, ქართულ სახელმწიფოში პირდაპირ არეულობას უწყობს ხელს, რაც, რა თქმა უნდა, ფასდება როგორც სამაგიეროს გადახდა, რადგან ქართული სახელმწიფო ომში არ ჩაერთო. ეს არის მცდელობა, ყურის აწევის პოლიტიკით და შანტაჟით გვაიძულონ, მშვიდობის რელსებიდან გადავუხვიოთ და დაგვანახონ, როგორც 2003 წლიდან 2012 წლამდე იყო, დღესაც ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაგება მათთვის მონობაზე გადის.



**— რა მოსაზრება გაქვთ მილერის განცხადებასთან დაკავშირებით, ამერიკის მიერ საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის შეწყვეტის თაობაზე?**

— სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკისთვის საქართველოს მიმართ ასეთია: სავაჭრო ურთიერთობები — არა! უვიზო რეჟიმი — არა! პირდაპირი ფრენები — არა! 30 წლის განმავლობაში მხოლოდ 6 მილიარდი დოლარი მოგვცეს, საიდანაც თანხის 90%-ით საკუთარი ნჯო-ები კვებეს და აგენტურა გამოზარდეს, მათ შორის, ისინი, ვინც ახლა ქუჩაში რევოლუციას აწყობენ. სტრატეგიული პარტნიორობა ამ შინაარსის არ არის და არც შეიძლება იყოს! მაშინ რა შეჩერდა? — არც არაფერი! ამერიკას მხოლოდ პოლიტიკური შინაარსისთვის დასჭირდა დოკუმენტი სიტყვებით — „საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას ვაჩერებთო“. საზოგადოების დიდ ნაწილს ეს ყველაფერი ძალიან კარგად ესმის და ისინი კარნახის გარეშეც ხვდებიან, რომ სტრატეგიული პარტნიორობა ნამდვილი და მარტივად აღქმადია ჩინეთის მაგალითზე. მათ, როგორც კი სტრატეგულ პარტნიორობას ხელი მოეწერა, მყისვე გახსნეს ფრენები და მოხსნეს სავიზო შეზღუდვები. ეს არის ის, რასაც ნამდვილად სტრატეგული პარტნიორობა და მეგობრობა ჰქვია. მილერისა და სხვა პოლიტიკოსების განცხადებების კვალდაკვალ, მე ამ საკითხზე მკაფიო პოზიცია მაქვს — აშშ-ის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არამეგობრულია!

**— ამერიკის საელჩოს მხრიდან ქვეყნდება „ქარდები“, სადაც პირდაპირ ძალადობისკენ არის მოწოდება. როგორ ფიქრობთ, აშშ-ს ელჩი გათავისუფლდება გავლენებისგან ტრამპის მოსვლის შემდეგ?**

— ამერიკის საელჩოს მხრიდან „ქარდები“ არის მათი პოლიტიკური ორენტაციის პირდაპირი დემონსტრირება, აღიარება იმისა, რომ მათთვის მიუღებელია ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის მებრძოლი სახელისუფლებო გუნდი. ვფიქრობ, ტრამპის მოსვლა ბევრ რამეს ძირეულად შეცვლის, გადაიხედება ქართულ-ამერიკული ურთიერთობები და დადებით პროგრესს მივიღებთ — დანახულნი ვიქნებით რა როგორც თანასწორნი და არა მონები, რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ.

**— ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქსავიე ბატელმა განაცხადა, გვთხოვეს, არჩევნები არ გვეღიარებინა, თხოვნა იყო ზურაბიშვილის მხრიდანაცო...**

— ქსავიე ბატელის განცხადება არის აღიარება იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი არის ქართული სახელმწიფოს, მაგრამ არა ქართველი ხალხის პრეზიდენტი. ზურაბიშვილი ღიად შეეკრა კოლექტიურ დასავლეთს და ქართული აგენტურული ოპოზიციის მფარველად გვევლინება.

**— „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ პრეზიდენტის კანდიდატურად მიხეილ ყაველაშვილი წარადგინა. თქვენ თანაგუნდელები ხართ. რას გვეტყვით მის კანდიდატურაზე?**

— საქართველოში 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ახალი პრეზიდენტის არჩევა ამერიკული მოდელით, 300 წევრისგან შექმნილი უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე საარჩევნო კოლეგიის მიერ მოხდება. არჩევნები ჩაინიშნა არაუგვიანეს 2024 წლის 14 დეკემბრისა, ხოლო ინაუგურაცია ჩატარდება არაუგვიანეს 2024 წლის 29 დეკემბერს, რითაც სრულად დაცული იქნება კონსტიტუციაში განსაზღვრული ხუთწლიანი საპრეზიდენტო ვადა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილია „ხალხის ძალის“, ჩემი გუნდის ღირსეული წევრი მიხეილ ყაველაშვილი. იგი არის პატრიოტი, ქვეყნისა და ოჯახის ერთგულებით გამორჩეული პიროვნება და საინტერესო, წარმატებებით აღსავსე ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანი. მე მჯერა, რომ ის მოახერხებს პრეზიდენტის ინსტიტუტის რეპუტაციის აღდგენას და იქნება ეროვნული ღირსებისა და მისიის მატარებელი პრეზიდენტი, რომელსაც საკუთარი ხალხის საჭიროებები კარგად ესმის.

**— ზურაბიშვილი აცხადებს, რომ 29 დეკემბერს პრეზიდენტის ინაუგურაცია ვერ შედგება, სანამ პარლამენტის ლეგიტიმაცია არ იქნება აღიარებული. იგი ამბობს, რომ ერთადერთი ლეგიტიმური ინსტიტუტი თავად არის და პარტნიორებს მმართველ გუნდზე დროულად ზეწოლის მოხდენისკენ მოუწოდებს.**

— ზურაბიშვილი ცდილობს საკუთარი გავლენების გაფართოებას, მისი დასაყრდენი არის გაკოტრებული, გამარგინალებული ოპოზიცია და კოლექტიური დასავლეთი, რომელიც პოლიტიკური ბუნტის თავს პრეზიდენტში ხედავს. სამართლებრივად მას რამდენიმე პარასკევი დარჩა და იგი პრეზიდენტობიდან რიგით მოქალაქედ იქცევა. ეჭვი მაქვს, მას ოპოზიციაც მოიშორებს, რადგან მხოლოდ უსტატუსო სალომე ზურაბიშვილი არაფერი იქნება!

**— ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩხრეკა ჩატარდა, რის შედეგად პიროტექნიკა, მოლოტოვის კოქტეილები იქნა ამოღებული. ხოშტარიამ აღიარა, რომ აქციების ორგანიზატორია. როგორ გაგრძელდება ეს პროცესი?**

– თითოეულ დაშავებულ პოლიციელსა თუ მომიტინგეზე პირდაპირი პასუხისმგებლობა ოპოზიციის ლიდერებს ეკისრებათ! ყველა ოპოზიციონერი ლიდერის მიმართ, ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, სამართლებრივი შედეგი უნდა დადგეს, ანუ პასუხისგებაში მიეცეს ყველა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროპორციულად.

**— რას გვეტყვით პრემიერის განცხადებაზე, კოაბიტაციის დასრულებასთან დაკავშირებით?**

— კოაბიტაცია დასრულდა, რადგან „ქართულ ოცნებას“ ჰყავს არა საქმეში ოპონირებადი ოპოზიცია, არამედ აგენტურა, რომელიც ანტიქართულ ინტერესებს ატარებს. ამიტომ პოლიტიკური საჭიროება და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა მოითხოვს, დასრულდეს კოლექტიური დასავლეთისგან 2012 წელს დავალებული „პატიების“ რეჟიმი და ჩადენილი ქმედებებისთვის ყველამ პასუხი აგოს. ამომრჩევლის პოლიტიკური ღირსება უნდა აღდგეს.

ბოლოს, ერთსაც დავამატებ, სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე „კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ დაადასტურა კეზერაშვილის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენის კანონიერება აღიარა. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ დავით კეზერაშვილმა მისი თავდაცვის მინისტრობის დროს, 2008 წლის ომამდე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგა ქართული ჯარისთვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხა, კერძოდ, 5 მილიონ 60 ათასი ევრო, დღევანდელი კურსით, დაახლოებით, თხუთმეტი მილიონი ლარი. რაც შემდეგი სქემით მოხდა — 2008 წლის ომამდე კანონმდებლობის დარღვევით, მან ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანიასთან ქართული ჯარის საბრძოლო წვრთნის თაობაზე ხელშეკრულება დადო, რაც არ ჩატარებულა, მაგრამ ბიუჯეტიდან მაინც გადაირიცხა 5 მილიონ 60 ათასი ევრო. შესაბამისად, დავით კეზერაშვილმა საკუთარი უფლებამოსილების გამოყენებით ქართულ სახელმწიფოსა და ჯარს უღალატა, მოპარა რა დიდი ოდენობით თანხა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტრასბურგის სასამართლომ არ დაადგინა დავით კეზერაშვილის მიმართ პოლიტიკური დევნა და მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი კეზერაშვილის დამნაშავედ ცნობის შესახებ სამართლიანია და მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, დავით კეზერაშვილი ქვეყნის მოღალატედ უნდა გამოცხადდეს, მან ქართული ჯარისა და სახელმწიფოს ღალატისთვის პასუხი უნდა აგოს.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**

# „ხლაპუშკების“ შეუმდგარი რევოლუცია

სანამ „მშვიდობიანი მომიტინგეები“ გაცოფდებოდნენ, მაშინ გითხარით, ბატიბუტს მოვიმარაგებ, ნათელმხილველობაზე მაქვს პრეტენზია და „ტანით ვგრძნობ“, დამჭირდება-მეთქი და აჰა, კიდევ ერთხელ აგისრულეთ, რასაც დაგპირდით. საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, ბატიბუტის კნატუნით გამეგრძელებინა თვალყურის დევნება, თუ მხესუმხირა შემენაცვლებინა.

ახლა, როდესაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გაეხსნათ გონება არაფრის გამო უსამშობლოების დანიშნულ აგრესიულ აბოჟირებულებს, მახსენდება, როგორ შევუძახე ზვიად ხარაზიშვილს: ე, ბიჯო, „ხარება“, ცოტა ნელ-ნელა გამოხშირეთ ეს უსამშობლოები, ჩემი სამშობლოს მკბენარისგან განთავისუფლების პროცესისგან მიღებული ნეტარების განცდის გახანგრძლივება მინდა, ასე სწრაფ-სწრაფად სრულ ნეტარებას ვერ ვასწრებ-მეთქი.

ყველაფერი მახსოვს... ისიც მახსოვს, „ტვ პირველის“ ჟურნალისტს რომ უთხრა „ხარებამ“, მე ახალგაზრდებს არ ვცემ, არაკაცებს ვცემო. მხოლოდ „ხარებასთვის“ კი არა, სამშობლოს მოყვარული ყველა ადამიანისთვის არაკაცია ის, ვინც უსამშობლოების დაძახილზე




საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გამოდის! გონებაარეულს ხელში დროშა რომ ვერ დაუკავებია წალმა და ენას ვერ ატრიალებს, საკუთარი სამშობლოს დედაქალაქს წვავს და ანგრევს, კაცია თუ ადამიანი? — რას ჰგავს რუსთაველის პროსპექტი!..

მახსენდება ეს უსამშობლოები, მათ მიერ გამოყენებელი ადამიანებიც და რომ ვხედავ, რა სახეები აქვთ, როგორ წკმუტუნებენ ბოლო აკორდად, როგორ ღაფავენ სულს მათი ფუჭი იმედები, მე მეხიარულება!

მემატიანეობა შევითავსე მხიარულ ტალღაზე — „დროას“ ოფისში დასაწყობებულ პიროტექნიკას „გრუზავიკზე“ გადასატვირთად რომ ახარისხებდნენ, ლЯკა დეიდა ისე იბრიქებოდა, შემიშვით, ბავშვები მარტოები არიანო, რომ „შნუროკებზელა“ იდგამდა ფეხს. ჯერ დავიბენი, „ბავშვები“ უცბად ჩვილ ბავშვებად წარმოვიდგინე, მაგრამ უცბად გავიაზრე, რომ „ბავშვები“ ის მუტრუკები იყვნენ, გველეშაპივით უწყვეტ ცეცხლს რომ უშვებდნენ სპეცრაზმის მისამართით და კითხვა დამებადა: რომ შეეშვათ, რა, შეშინებულ „ბავშვებს“, მათი ასაკისა და მოწოდებიდან გამომდინარე, „ხლაპუშკებს“ მოაწოვინებდა დასამშვიდებლად?

რა ენაღვლება ბატონ ელენეს, ფული შემომაკლდაო, ერთი დარეკა საზიზღარ რუსეთში და ოთხმილიონ „სჩემტა“ მყისიერად ჩააxუტეს, არადა, მე ვარ ჩელიაბინსკში...

იძახა „იმ კაცმა“, ერთი ჭკვიანი კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ ამ ხალხს აუხსნას, სად ქაქში არიანო. მაშინაც წუხდა „ის კაცი“, ტრაგიკული სიტუაციაა, მთელ საზოგადოებას ხომ აწვალებენ და მე არც ის არ მომწონს, კედელს რომ თავს ურტყამენო; შანსი არ არის, რაგინდ ღამეები ათიონ, ერთმანეთი ამაგრონ და ერთმანეთი ატყუონ, დღეს არა, ხვალ მოვალთ ხელისუფლებაში, შანსი არ აქვთ და მიდიან ვა-ბანკზეო; უზარმაზარ ენერგიას ხარჯავენ, ზარალდებიან, ზოგი ორი დღით მიდის, ზოგი — ორი კვირით, — და ამ ახალგაზრდებს უწევთ დაპატიმრებაო; ზოგს პატარა ტრავმა აქვს, ზოგს უარესიო; ეს ახალგაზრდები, ზოგი წლობით მიდის ციხეში და კიდევ ბევრს მოუწევს სასჯელის მოხდა, მაგრამ თავგანწირულად მიდიანო; ტრაგედიაა ამ საზოგადოების, რომ ვერაფრით ვერაფერი გაიგესო; ერთი ჭკვიანი კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ დაუჯდეს ამათ და აუხსნას, ნუ ურტყამთ კედელს თავს, არაფერი გამოვაო, მაგრამ ვინ მოუსმინა.

საქმე ის არის, რომ კედელზე თავის მრახუნებლებს მხოლოდ ფულიანი კაცები შერჩათ, ფულიანი და, ამავდროულად, ჭკვიანი კაცები კი, ზოგი დაუბერდათ და ზოგი მოუკვდათ. ამიტომ დარჩნენ ასე, თავმოჭრილი ქათებივით და იმიტომაც დაფორთხიალობენ ფრთაჩამოვარდნილები, სანამ გაპუტავენ და საბოლოოდ ერთ ქვაბში აღმოჩნდებიან...

კოაბიტაცია დამთავრდა, მგონი, და — ოი, მამაჩკი! აგული, ნაჩინაეტსა!

ოფისში „მოლოტოვები ჩაგვიდესო“, — შემოგვჩივლა ვინმე ბექა პაპაშვილმა და კინაღამ გავიგუდე, ბატიბუტის მარცვალი გადამცდა სასულეში.

ბიჯო, ბექებო, მე გიყურებდით პირდაპირი ეთერით, წარსულში ურო-ნამგლიანი კოლმეურნეების პიედესტალზე მოლოტოვის კოქტეილებს როგორ ამზადებდით ჯგუფურად, შემდეგ ისროდით და ვინ სად ჩაგიდოთ, — თუ „ერთი ადგილი“ არ გქონდათ, რას ათამაშებდით? გამოვიდა ბატონი ელენე და თქვა, დიახ, მე ვხელმძღვანელობდი ამ საქმესო და აჰა, რა ვქნათ ახლა?

იმ „კაპეზეში“ „მშვიდობიან მომიტინგეებს“ „კომბიჟირში“ ამოვლებულ ნახევრად უმ კარტოფილს რომ მიუგდებენ შესაჭმელად, მოენტრებათ ნანუკასა და მეგის ლობიანები, ნანუკას და მეგის კი, სულაც არ მოენატრებიან, რადგან ერთი — რომ ფეხებზე ჰკიდიათ ვიღაც ადვილად ასაგდები ლაქია ტიპები, და მეორე — იმდენი ერთნაირი ჰყავთ, კონა შაურია მათი ფასი ნანუკებისთვის და, შესაბამისად, დანაკლისი არ ექნებათ — ამას როდის მიხვდებიან, ნეტავ?

ეს კი არა და, რეზიდენტ პრეზიდენტს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი დაუბარებია და იმას რუსულ სამ ასოზე გაუშვია რუსულ გემთან... ჩელიაბინსკი „რულავს“...

ზოგი რა უცნაური უსამშობლო გვყავს. ჯერ ხომ ისეთი სახალხო დამცველი დაგვაბერტყეს თავზე, რომ მსოფლიოში ერთადერთი ომბუდსმენი იყო, თან მდედრობითი სქესის, რომელსაც ციხეში შესვლის დროს პატიმრები აგინებდნენ, შემდეგ კი უკვე მოყელყელავე პოლიტგურუები — ნიკა გვარამია დააკავეს და ხალხი აჟრიამულდა, აღარ გამოუშვათ, პირდაპირ „ბიუბიუში“ გადაამისამართეთ, მარნეულის წინასწარი დაკავების იზოლატორში რა უნდა, ახლა მაგის ქორწილში გვატარეთ კიდე, ზარალიაო.

ხალხი იცინის, ანეკდოტი რომ არის — ისეთი მახინჯი ცოლი მყავს, იმ დღეს ყაჩაღები შემოცვივდნენ და რომ ვერაფერი წაიღეს, მე მო...ნეს და ჩემი ცოლი სცემეს, ისეა ნიკა გვარამიასა და ბატონი ელენე ხოშტარიას საქმეცო...

„ოცნება“, სად იყავი, შე კაცო, ჩამოძინებული, ხალხი როგორი კმაყოფილი ხითხითებდა და ერთობოდა, თუ ხედავდი და თუ გესმოდა, არ შეჩერდე, წაუსნიკერსე და გააგრძელე...

სოცქსელში დაწერეს: ოპოზიციის ოფისების ჩხრეკისას ხოშტარიას ოფისში იპოვეს ახალმოჭრი-



ლი რუბლები და პუტინის სასიყვარულო წერილებიო;

ჯაფარიძის ოფისში იპოვეს „საბას“ ლიბერალი ნომინანტების ჯგუფური სექსის ვიდეოები და გრიგოლ გეგელია ტრ...ში გარჭობილი გიტარითო;

გახარიას ოფისში იპოვეს ფანტომასის, ოჩოპინტრეს, მაზაკვალის, ქემოკლიძისა და ლილუაშვილის ნიღბებიო;

გირჩ ჯაფარას ოფისში — თაბაშირზე აღბეჭდილი ტრ...ების ნიმუშები და „მეპირეს“ დღიურებიო;

ვაშაძის ოფისში — მკერდზე დასაწეპებელი ბანჯგვლები, გრიგოლ ვაშაძის მიერ ნაჩუქარი ულვაში, პუანტები და თეთრი ვარდები ჭიჭეს გათხოვილი ძმისთვის; (გადავბჟირდი, ფილმი „თეთრი ვარდები ჩემი შავი დისთვის“ საიდან გაახსენდათ?)

გვარამიას ოფისში — პუფზე გადაკრული მელიას ტყავი, წითელ ტანგათა შვიდეული და ვიბრატორები იპოვესო... — გაერთო ხალხი.

ამ გახსენებაზე, ნინო ლომჯარია მითითებას რომ აძლევდა ე. წ. რადიკალურ ოპოზიციას, ან ოთხივე დაჯდებით და იმოქმედებთ ერთად, ან საერთოდ აღარ გვჭირდებით და თუ ვინმე რამეს აურევთ, მაგასაც მოგვახსენებთო. რა ქნეს, მოახსენეს, თუ ერთად გეგმავენ დივერსიულ აქტებს? ან ახლა რას შვრებიან, „თავო ჩემო, ბედია არ გიწერიას“ გუნდურად მღერიან?

საქმით რატომ არავინ იკითხავს, ვინ არის ნინო ლომჯარია ასეთი ზეაღმატებული, მის მიმოწერებს და ანგარიშებს რატომ არ ამოწმებენ? კონკრეტულად ვისი დანიშნული ლაქიაა, რომ ე. წ. ოპოზიციის ლიდერებმა უნდა მოახსენონ საქმის მდინარება და ის ადგენს, ვინ და რაში სჭირდებათ — იყო სახალხო დამცველი და აღარ არის, ხომ ასეა? უსამშობლოების მთავარსარდლად ვინ დანიშნა?

მე ისიც მახსოვს, რეზიდენტი პრეზიდენტი რომ დატუქსა, ჩვენთან შეუთანხმებლად განცხადებების გაკეთებას როგორ ბედავო... ამ კუტიპალო მანქურთს დამიხედეთ! ეს ჯაშუშების დედოფალი, ესა!

სანამ მაგას გავიგებდი, „ქორთიარდ მერიოტთან“ რამდენიმე კაცი დაუპირისპირდა ოპოზიციის ლიდერებს და წინ და უკან დააწყებინეს სირბილი. სად ხართ, თქვე კაი ხალხო! ამ ოხერ პოლიციას და სპეცრაზმს როცა გინდა, მაშინ ხომ ვერ ნახავ! მოგვეშველეთ, თორემ ჯვარის მამის ლავაშივით გაგვაბრტყელებენო, — ხაოდნენ „გმირები“.

ამდენი ხანი ვუყურე და ვიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ დავასკვენი, რა სახის ახალგაზრდები იდგნენ რუსთაველზე, მაზოხისტი „მორჟები“? არააა, „მორჟები“ ხომ ვერ იქნებოდნენ „ალა ლუშულ კანონს შიგ ევროპელები“? შერლოკ ჰოლმსის დედუქციის მეთოდისა არ იყოს, რადგან მათმა პრეზიდენტმა ამფეტამინით თრობა დააბრალა სპეცრაზმელებსა და სამართალდამცავებს, ვეჭვობ, ამფეტამინისგან გამომაზოხისტებული დასაბანები იკრიბებოდნენ.

პირდაპირი ეთერით ვნახე: ჟურნალისტი რაღაცას ეწიკვინება „ხარებას“ და „ხარება“ პასუხობს, აბა, პიდარასტებს ჩავაბაროთ სამშობლო? გადი ახლა აქედანო, — მაგაზე გამახსენდა!

ერთი ღრმად ჩელიაბინსკური „დიდების მულტიკი“ ვნახე — დათვისა და მონადირის სახეები რომ მახსენდება, გული მიხდება ცუდად, ისე მეცინება. შინაარსი ასეთია: ზამთარია. მონადირე მიაგნებს დათვის ბუნაგს, შეჰყოფს თოფს და უაზროდ ისვრის, ფიქრობს, რომ დათვს შიგნით სძინავს და მოკლავს. უცბად მხარზე ვიღაც დაადებს ხელს. შეხედავს და დათვია. ჰაიტ, ჩემი მოკვლა გინდოდაო? და დათვი გააუპატიურებს აკანკალებულ მონადირეს. მეორე დღეს მონადირე ავტომატით მირბის და გადაცხრილავს დათვის ბუნაგს. ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდიო, გაეცინება ჩასაფრებულ დათვს და კვლავ გააუპატიურებს. მომდევნო დღეს „ლიმონკით“ მივარდება და ჰაერში ასწევს ბუნაგს. ხის უკან დამალული დათვი გამოძვრება, გააუპატიურებს და გაოცებული ეკითხება: კაცო, ყოველდღე რომ მორბიხარ, შენ მონადირე ხარ, თუ პედერასტიო?

ამ გაურკვეველი მიზნით გამოამფეტამინებულების ამბავი ასეა სწორედ — მივლენ, იხავლებენ, გა-

იწუწუნებიან, ცოტა მიიჯირყვნებიან, ცოტას ერთმანეთს ქვას ჩაარტყამენ და სტვენა-ღმუილით მოედებიან მელიქიშვილი-ჭავჭავაძე-თამარაშვილის ქუჩებს, „დელისთან“ ბოლო გაჩერება აქვთ.

არ ვიცოდი, — როგორც მათი ტელევიზიის გადაცემის წამყვანისგან გავიგე, თურმე „მშვიდობიანი მომიტინგეები“, აბსოლუტურად უწყინარად, ფერადოვნებას ქმნიდნენ...

ბიჯო, თუ შეკვეთით აპროტესტებდნენ იმას, რის აზრზეც არ არიან, მდგარიყვნენ და გაეპროტესტებინათ, თბილისს რატომ წვავენ და ანგრევენ?

გავიგეთ, რომ კაი კაიფში მაგრად ასწორებს ბრჭყვიალა რაღაცეების ყურება ღამის ფონზე, მაგრამ კმარა, რაა, იმ უტვინო თავების თრევაში ფეხები არ დაეღლებათ ამფეტამინის ხარჯზე, ხომ ვიცით. გადაეკეტათ ამფეტამინის წყარო! იმ აქციებზე ცნობილ ნარკობარიგას მაინც ვერ ხედავდნენ?

თბილისს ერთი „დათვი“ კი არა, დამცველებად ნაღდი ქართველები ჰყავს და იმ მონადირეზე არანაკლებ დღეში რომ ვარდებიან, მერე იმ პოლიციასთან მაინც ნუ გარბიან, რომელსაც მანამდე ცეცხლს ესვრიან...

ვიღაც აკვისინდა, ჩემი მეუღლე „მოლოტოვის კოქტეილს“ კი არა, ცარიელ შუშის ბოთლებს ისროდა, რომელიც სპეცრაზმელებამდე ვერ მიაღწევდაო, — ახლა ეს რომ გაასინჯო, ნორმალურიაო, გეტყვიან... ჯოტია ცაავა გიჟს ჰგავს და დურუ ხუნჭუა ევროპული მარაოთი უნიავებს...

ძალიან მომეწონა ეს ახალი მიგნებები: „გაიფიცე!“ და „თუ არ გამოდიხარ, გაჩუმდი მაინც!“

მე ისედაც გაფიცული ვარ 2003 წლიდან, ამიტომაც არ მივდივარ აქციებზე თუნდაც თვალის გადავლების მიზნით, არ მინდა გაფიცულის ფიცი გავტეხო, მაგრამ მე ამათი წაღმა-უკუღმა ნაქსოვი დედა რომ მოვქსოვე, დადგნენ და ხელჩასაჭიდი თმის ღერებით გამოათრიონ „თავისიანები“ იმ საჯარო სამსახურებიდან, თბილად რომ სხედან და ევროპულად ბრეცენ იხვი დონალდის ტუჩებს. ერთმანეთს ხომ მაგრად აშინებენ და დააშინონ, იძულებით გაფიცონ!

დედა, რა კარგი ხალვათობა იქნება ყოველმხრივ...

რაც შეეხება მეორე მიგნებას — მაინც ჩუმად ვარ და ისე ვწერ, მხოლოდ დროდადრო გამეცინება და ისიც ხოლმე-ხოლმე და მეტი როგორღა გავჩუმდე? ჩემი ნაწერი თუ ყვირის, მაგდენი აღარ ვიცი, მაგრამ კარგია, თუ ყვირის...

რა მაგარია ჩელიაბინსკში...

ისა და, საჯარო სამსახურებში გაპაპაჯორებული ორპრ...ჭა ქალები და კაცები და „მთავარი არხი“, „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ რატომ არ იფიცებიან, გაქოცდნენ? „ფორმულას“, მომენტ, დედა აღარ ჰყავს, ანუ მამა, 31 დეკემბერს „ჩაო, ბამბინო, სორიო“ ამასაც არ ეტყვიან ბოლომდე და რა ვიცი...

„ოცნება“, გაისარჯე, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დაეხმარე „შიგ ევროპელებს“, გაუფიცე შენს უბეში ჩათბუნებული გველები! ეგენი მაინც „შუა“ არიან, გასაკრეფები — რით ვერ გაიგე. რომ ესენი ის „ხლაპუშკები“ არიან, მათთვის საჭირო დროს მეხად რომ დაგეცემიან თავზე!..

ქალი რომ გათხოვდება, დილას აივანზე გამოვა და იტყვის, ეზოც რა პატარა გქონიაო, ისეა ამათი გაფიცვის ამბავიც, — გაფიცვაც რა აფერისტული სცოდნიათ!

ბიჯოოო, ვიღაც ისეთი შუშურიკები გამოფრიალდნენ „გავიფიცე, გავიფიცეო“, რომ გამოძიებას ვატარებ, ეს ვინ ჩემის სიქიმ დონღუზია-მეთქი, — გაიფიცოს „კოკა-კოლა“, „თი-ბი-სი ბანკი“, „პე-ეს-პე“, „ნატახტარი“, „ფრესკო“ და ა. შ. ნაცტორდადებული ფულის საჭრელი „ტოჩკების“ ქსელები და დავიჯერებ, რომ გაიფიცნენ. რას აქანავებენ სიაფანდზე გაურკვეველი დანიშნულების თავებს აღრეულად, ხომ ხედავენ, რომ ვერ ყალიბდებიან...

მსახიობი თავაძე ოჯახის საკუთრება თეატრში გაიფიცა; რობაქიძეს კუთვნილ უნივერსიტეტში 0,1% სტუდენტი შეუვარდა და „წადი, წადი“ ეძახეს. როგორც ჩემი სომეხი ძმაკაცი ერვანდა იტყოდა, „ახუეც მოჟნა“.

ჯერ ხომ ის მაბრაზებდა, ტელევიზიაში ჩაბუდებულ ჩამოწერილ მსახიობებს რომ ვხედავდი, უნიჭობამ სცენაზე ან კინოეკრანზე რომ ვერ გამოაჩინა და ახლა ისეთი წამოიწყეს „გავიფიცე!“ სამუდამოდ დასამარდნენ, როგორც მსახიობები — ამ როლსაც ვერ ასრულებენ! „ალადინის ლამპარში“ არიან და ვერ ხვდებიან...

მოგიყვებით — ცოლ-ქმარი თეატრში წავიდნენ სპექტაკლ „ალადინის ჯადოსნურ ლამპარზე“. სპექტაკლის დაწყებამდე თეატრის ბუფეტში ლუდი დალიეს და პარტერისკენ გაემართნენ. დასხდნენ, მაგრამ კაცს გაუჭირდა, კუჭმა საეჭვოდ დაუწყო ბუყბუყი. სასწრაფოდ გავარდა და გამწარებული ეძებს საპირფარეშოს. გააღო ერთი კარი — გარდერობია; გამოაღო მეორე — საგრიმიოროა; მესამე, მეოთხე და — ვერ პოულობს ტუალეტს. ერთი კარიც გამოაღო და დაინახა დიდი ქოთანი დგას. სხვა გზა აღარ ჰქონდა, იმ ქოთანში მოისაქმა, სასწრაფოდ დაბრუნდა პარტერში და ხედავს, გადაჭედილი პარტერი სიცილისგან იგუდება. ცოლს ჰკითხა, რა გაცინებთო? ცოლმა ძლივს მოატრიალა ენა: სცენაზე რომ გამოხვედი, დარბაზი გაისუსა; რომ მოისაქმე ქოთანში, ინტერესით გიყურებდა მაყურებელი, მაგრამ რომ გახვედი სცენიდან, მაგ ქოთნიდან ჯინი ამოხტა და იყვირა: ეს როლი კი არა, „ყ...ობააა! დღეიდან გაფიცული ვარ!“ — მაგაზე ვიხოცებით სიცილითო.

სალომე გოგიაშვილმა მრავალი ჩვენგანის მსგავსად იკითხა, ეს გაფიცული მსახიობები ვინ და საიდან არიანო? „დიდი ნანკა კალატოზიშვილი“ გაეპასუხა, თეატრში უნდა დადიოდე და გეცოდინებაო.

გოგიაშვილმა ალადინის ლამპარისა არ იცის, თორემ მიუკვიმატებდა, ალადანის ლამპარიდანო?... ისე კი, კახა კინწურაშვილი ვიღაც მეორე მამრს რომ „ეზასავება“, მაგ სპექტაკლის სანახავად რატომ უნდა წავიდეს ადამიანი, ქუჩაშიც ნახავს მათი ღამეული თარეშების დროს, ხოლო ქალის სასქესო ორგანოს სახელებს რომ არჩევენ სხვადასხვა ენაზე როლში, იმას სულაც უცხო ენათა ლექსიკონებში ამოიკითხავ... ალადინსკი ლამპარ! — ასეა ჩელიაბინსკურად მათი საქმე, „ვალშებნაია ლამპა ალადინა“ პუტინის რუსულია...

ბიჯოო, ის „შიგ ევროპელები“ მაინც გაჩუმდნენ, თანდაყოლილი ტეტიობის გამო თბილისელობის სტატუსის მისატყეპებლად, საუბრისას რბილი „ლь“ ისე რომ მიიკრეს, გამოსწორება აღარ შეუძლიათ. გარდა ამისა, ჯერ იმ ქეშმა მომღერალმა გადმოიღო ლაიმა ვაიკულედან, შემდეგ მისი დეფექტური მეტყველება გაითავისა ყიამყრალა მედროვე ტელეწამყვანმა და ახლა ს+შ ნაჯვარი ბგერაც უვარდებათ დონალდის ტუჩებიდან — ქართულ ბგერებს ვეღარ გამოთქვამენ, ქართული სიტყვები აღარ იციან და „საქართველოო“, გაჰყვირიან. გლობუსს მივუტანდი, აბა, მიჩვენე საქართველო სად არისო, მაგრამ ყუმბარა ეგონებოდათ და გასტყორცნიდნენ სპეცრაზმის მიმართულებით...

„ხლაპუშკების რევოლუცია“ ჩავარდა, შესაბამისად, ჩავარდა ნანუკა ჟორჟოლიანისა და მეგი გოცირიძის ლობიანების ღირსება, რადგან ლობიანის მოყვარულებით არაფერი გამოვიდა. მერე მეგონა, „შაშლიკების რევოლუცია“ დაიწყება-მეთქი. ვიღაც ჭკვიანსა და გულკეთილს მაყალი მიუტანია, მწვადს აშიშხინებდა რუსთაველზე, იმათ ლობიანებს არ გავკარიო? საგონებელში ვიყავი, ცოტა ხანში „ჭაჭინსკიც“ თუ დაურთეს, გამთენიისკენ ძალიან სცივათ ნაბანავებ ხალხს-მეთქი, კაი ჭაჭის ნაყლაპისა და მურტალი პახმელიის მონაცვლეობაზე სრულიად საქართველო საით გაიჭრებოდა ღმუილით „ზა როდინუ, ზა სტალინაო“, ვინ უწყის. სავარაუდოდ, დიდი ბრძოლები ატყდებოდა კავკასიაში.



არ გვაქვს საბრძოლი თუ რა! ჩემს გენეტიკურ მეხსიერებას ყველა მეზობელთან საბრძოლი აქვს, რადგან, რაც ახლა საქართველოს ტერიტორიაა, ლამის მაგდენივე მეზობლებს აქვთ მიტაცებული, ისე არ არის, მხოლოდ რუსი რომ არის ოკუპანტად გამოცხადებული. სხვათა შორის, რუსს სავაჭროდ აქვს მიტაცებული, დანარჩენებს სამუდამოდ. ის სამუდამოდ მიტაცებული კი, სულაც არ არის მათ მიერ მიტაცებული, ისეთმა სერგო ორჟონიკიძემ გადასცა, ახლა აქ რომ გვყავს ბევრი ორჯონიკიძეი, ამჯერად ბრიუსელისა და ვაშინგტონის ბოზები, ყველაფერს რომ ეცადნენ იმისთვის, რომ რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა ეღიარებინა. ჰოდა, იმიტომ გადასძახიან დროდადრო აქციაზე ერთმანეთს, „ბოზებოოო!“ ამოწმებენ, ხომ აქ არიან ისევ, ხომ არ გაიპარნენ ბოზურადო. გამოამფეტამინებულები იმდენს ვეღარ ხვდებიან, რომ მამალი ბოზები ისე გაიპარებიან, როგორც გიგი იგულავა გაიპარა გაურკვეველი მიმართულებით და თვითონ მოუწევთ ყველაფერზე პასუხისგება. იგულავამ კი იფიქრა, დიეტითაც კარგად ვიკლებ წონაში, ციხის მენიუ არ მომწონსო...

ფბ-მეგობარმა დაწერა: „ტვ პირველზე გადავრთე და გაუდით გნიასი: თავისუფლების მეტროში ადვოკატები დგანანო; ქუჩაში მსახიობები დგანანო; ბორდიურებზე ექიმები სხედანო; ხეებზე პოეტები და მწერლები არიან დაბუდებულებიო; გვარამია ციხეში იტანჯებაო; „ვივამედში“ ორაკული გმინავს — დედა გვაქვს მოქარგულიო...“

მე დავურთავ — და ყველაფერთან ერთად, ალადინის ლამპარშიც სხედან!

რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლება ეუბნება, ღირსებით „შეგიყვანთ“ ევროპაშიო და ესენი ფეხებს აფხარკალებენ, ევროპაში გვინდაო — „მაიტა, ნასოსი!“ სჭირთ. აღმოჩნდა, რომ არც ამათ ჰქონიათ სამშობლო, მათაც ფსიქიკური აშლილობა და ყოველგვარი მანიაკური გადახრები ახუნტრუცებთ თურმე და შესაბამისად, სახელად „მიშა“ ჰყოლიათ სამშობლოს ნაცვლად საფიცარი...

სიმართლე გითხრათ, მე საქმე მომწონს ლაპარაკის ნაცვლად!

ერთ დღეს რომ დაკავების დროს გაფითრებულ და ლამის ატირებულ ოპოზიციის ე. წ. ლიდერებს ვხედავ, როგორ მიარბენინებენ სამართალდამცველები მანქანებისკენ, მეორე დღეს ტელეეკრანზე ძველებურად ენაწაგდებულებს არ უნდა ვუსმენდე, როგორ დემაგოგობენ... არც იმ „შპანას“ მოწიკვინე გოგო-ბიჭებს უნდა ვხედავდე კვლავ... რატომ ეფერებიან გაურკვეველი სქესის არსებას, რომელიც გინებით ელაპარაკება სპეცრაზმელს, მომკალით და არ მესმის...

„ოცნება“, მართლა დაამთავრეთ ეგ სამარცხვინო მოცემულობა, სახელად კოაბიტაცია, რომელიც თითოეულს სამარცხვინო კაშნედ გაქვთ შემოვლებული ყელზე! ისევ არ გაიმასხარაოთ თავი თქვენი ზეჰუმანურობითა და საძულველად ქცეული სიტყვა „დემოკრატიით“!

საქმე დამანახეთ, ძამიკო, საქმე, თორემ ლაპარაკი ისეთი ვიცი, მაღლა ზესკნელს ვხვრეტ და დაბლა ქვესკნელს...

**ზურა ოჩხერელი**

საქართველო ორ კომენტარში



# უსამშობლო თანამედროვე აღა-მაჰმად-ხანები



*გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, პირველ რიგში, „საერთო გაზეთის“ რედაქცია გილოცავთ მეოთხე შვილიშვილის, დემეტრეს დაბადებას, ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაგიზარდოთ. დაე, გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროს. პოლიტიკას რაც შეეხება, როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესს?**

— გაიხარეთ, უღრმესი მადლობა დემეტრეს დაბადების მოლოცვისთვის, თქვენს კოლექტივს წარმატებებს, სიკეთეს ვუსურვებ. რაც შეეხება მიმდინარე პროცესს, ცალსახაა, რომ დასავლეთის „გლობალური ომის პარტია“ 20 იანვრამდე ჯერ ისევ მყარად არის ფეხმოკიდებული და სურს, საქართველოში არეულობა გამოიწვიოს, ხელისუფლება ძალადობრივი გზით შეცვალოს, რადგან ხალხის მიერ არჩეული მთავრობა მის ინტერესებს არ ატარებს. რევოლუციისთვის ნიადაგი დიდი ხანია, მზადდება — დასავლეთი ჰერჩინსკის და სხვათა პირით ჯერ კიდევ არჩევნებამდე ორკესტრირებულად აცხადებდა, რომ აქ გადატრიალება იყო მოსალოდნელი. ისინი ხელისუფლებას პირდაპირ მიანიშნებდნენ: არჩევნები რომც მოიგოთ, მის ლეგიტიმურობას მაინც არ ვცნობთო. მოგვიანებით ბორელმა განაცხადა, რომ თანხას — 120 მილიონ ევროს, მთავრობის ნაცვლად, ნჯო-ებს გადაურიცხავდა საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის. ეს ცინიზმი და პირდაპირ დაანონსებული რევოლუციაა, რისი ხორცშესხმაც დაიწყეს. მაგალითად, ეს გამოხატულია ე. წ. მშვიდობიანი, სინამდვილეში კი აგრესიული მომიტინგეების შეტევით ქართველ სამართალდამცავებზე, სახელმწიფო შენობებზე, პარლამენტზე...

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: რაც ამ დღეების განმავლობაში თანამედროვე აღა-მაჰმად-ხანებმა, თემურ ლენგებმა და სხვებმა საქართველოს დამართეს, ასეთი სისასტიკე ნამდვილ ხანებსაც შეშურდებოდათ. ამ პროცესების დამფინანსებლები დამპყრობლების გვერდით, „საპატიო დაფაზე“ უნდა გამოაკრა. ხაზგასმით ვამბობ, აღნიშნული პროცესები უცხოეთიდან იმართება. ამის დადასტურება ძნელი როდია: როცა მოსახლეობა ვითომ გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად ქუჩაში ვერ გამოიყვანეს, გვარამია და ბოკუჩავა ევროპაში გაიქცნენ და კორუმპირებულ, გათახსირებულ, გადამპალ ევროპარლამენტარებს რეზოლუცია მიაღებინეს, რითაც სააკაშვილის გათავისუფლება მოგვთხოვეს. იმ სააკაშვილის, რომლის მიმართ გამოტანილი განაჩენი სტრასბურგის სასამართლომ სამართლიანად ცნო. სხვათა შორის, სტრასბურგის სასამართლომ კეზერაშვილი ახლახან სახელმწიფო დამნაშავედ აღიარა. მან ქართულ ჯარს 15 მილიონი ლარი მოპარა, რითაც მისი ე. წ. ტელევიზია „ფორმულა“ სულდგმულობს. ამჟამად საქართველოში ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რასაც დასავლეთი გარკვეულის წლების განმავლობაში ლათინური ამერიკის ქვეყნებში აწარმოებდა.

**— თქვენ ახსენეთ, სტრასბურგმა კეზერაშვილი დამნაშავედ ცნოო, თუმცა მის ტელეარხზე ისე წარმოაჩინეს, თითქოს იგი გაამართლეს...**

— დიახ, საქმე ის არის, რომ „ფორმულას“ ჟურნალისტები სიმართლეს თუ იტყვიან, მაშინ მათ ტელევიზია უნდა დატოვონ, რადგან გამოდის, რომ ქართული ჯარის გამძარცველისგან თანხას იღებენ. სული მწარეა, მათ არ სურთ კეზერაშვილის ძუძუდან მოწყვეტა. რად უნდა ბევრი ლაპარაკი იმას, რომ კეზერაშვილი კორუმპირებულია. მან ქართულ სახელმწიფოს მილიონები წაგლიჯა და ქვეყნის გადატრიალების ერთ-ერთი დამფინანსებელია.



**— თქვენ ახსენეთ, ბორელმა „დემოკრატიის“ განვითარებისთვის ოპოზიციას თანხა გადმოურიცხაო. ქვების სროლა, პოლიციის და პოლიციელების გინება დემოკრატიაა?**

— როცა მათ ინტერესებს აწყობს, მაშინ დემოკრატიაა, თუ არ აწყობს — არა. მეგობარი მყავს საფრანგეთში, რომელმაც მითხრა, თბილისში პოლიციელებზე განხორციელებულ შეტევებს აქ არ უჩვენებენ, მხოლოდ მშვიდობიანი აქცია აჩვენესო. ბორელი და სხვები, იმ ბაიდენის დღევანდელი ადმინისტრაციის „შესტიორკები“ არიან, რომელმაც სამარცხვინო რამ ჩაიდინა და საკუთარი შვილი შეიწყალა. ამაზე მეტი მარაზმი რა უნდა იყოს. აგერ, მარგველაშვილი ცოლისა და ქალიშვილის მეგობარ ნარკომანებს იწყალებდა, ზურაბიშვილი მკვლელებს და ტერორისტებს იწყალებს. ისტორიის ქარბორბალა 20 იანვარს ბაიდენს ჩარეცხავს, 29 დეკემბერს კი — ზურაბიშვილს. მარგველაშვილს რაღა ჩარეცხვა სჭირდება.

**— ოპოზიცია დიდხანს ამტკიცებდა, რომ აქცია თვითდინებით მიდის, თუმცა ბოლოს ორგანიზატორი ხოშტარია აღმოჩნდა...**

— თამარ, თქვენ სწორი აქცენტები დასვით. დიახ, ხოშტარიამ აქციების ორგანიზატორობა აღიარა. მივყვეთ მოვლენებს. ხოშტარიას ოჯახი დაფინანსებას რუსეთიდან იღებს. მისი პუტჩისტი მამა — გოგია ხოშტარია 1991-92 წლების მიჯნაზე ზვიად გამსახურდიას ზარბაზნებს ესროდა. მერე შვილი სასწავლებლად რუსეთში გაუშვა, სადაც კაგებეს და ფეესბეს კადრები იძერწება. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ მისი ოჯახი რუსეთიდან, სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრეობის გამო, ფულს იღებს. თითქოს სოლიკოს ესკიზებს რუსეთის სხვადასხვა თეატრებში იყენებენ და ამისთვის გოგია ხოშტარიას ოჯახს პუტინი ფულს პირდაპირ კრემლის ბიუჯეტიდან უხდის. რა გამოდის? ხოშტარია, რომელიც იძახის, ანტირუსი ვარო და პუტინს ებრძვის, ეს უკანასკნელი მას მაინც ფულს უგზავნის. ანუ, პუტინზე დიდი დემოკრატი კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა.

ვინ დაიჯერებს, რომ, რაც მოვყევი, ეს ამბები რუსეთის ინტერესებში არ შედის?! ხოშტარიამ აქციების ორგანიზატორობა, ქვეყნის გადატრიალების პროცესი საკუთარ თავზე აიღო. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ამ პროცესებში მაღალ დონეზეა ჩართული ის ქვეყანა, რომელსაც ხოშტარია ვითომ ებრძვის. გავყვეთ მოვლენებს. მინდა, მკითხველის ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო: დღეს თბილისში მიმდინარე პროცესები აქ მაიდნის სცენარის გამეორებას ემსახურება. გავიხსენოთ უკრაინის მაიდანი. მაშინ პუტინმა იანუკოვიჩს მხარი არ დაუჭირა. მაიდანს ზელენსკის გაპრეზიდენტება მოჰყვა. დავსვათ შეკითხვა: პუტინს ზელენსკის პრეზიდენტობა ურჩევნია თუ იანუკოვიჩის, რომლის დროსაც ერთი სანტიმეტრი მიწაც კი არ ჰქონდა ოკუპირებული. ზელენსკის დროს კი უკვე 20%-ზე მეტი აქვს ოკუპირებული. დასკვნა: ყველაფერს საკუთარი აგენტების ხელით აკეთებენ. ეს მელიები, ჭიჭიკოები, გვარამიები, ხაზარაძეები, ხოშტარიები იმ გეგმაში ზიან, რომლის მიხედვითაც, აქ სიტუაცია თუ შეიცვლება, რუსებს გაცხადებული აქვთ, რომ საქართველოს არ დათმობენ. გადავხედოთ გეოპოლიტიკურ ვითარებას — ცვლილებების შემთხვევაში, გარკვეული სახელმწიფოები მაშინვე ფუთფუთს დაიწყებენ საქართველოს ომში ჩასართავად. ეს ხომ რუსეთისთვის უდიდესი დარტყმა იქნება. მან კარგად იცის, ჩრდილოეთ კავკასიის აფეთქების ფასი. რა დასკვნამდე მივდივართ: დასავლეთიც და ჩვენი ოპოზიციაც იმ საქმეს ემსახურებიან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სრული ოკუპაციისთვის წირავენ.

**— გამოქვეყნდა „ლელოს“ წევრების ფარული ჩანაწერები, სადაც საუბარია, რომ ვიღაც თუ დაბრმავდება, ვიღაცას თუ დაიჭერენ, ცემენ, ეს აწყობთ არეულობის გამოსაწვევად...**

— რა გასაკვირია, ესენი ხომ მერაბიშვილის შთამომავლები არიან, რომელიც ორ გვამს ითხოვდა. დიახ, მათ, უპირველესად, მსხვერპლი სჭირდებათ. რასაც ესენი აკეთებენ, მსოფლიო ისტორიას არ



ახსოვს. ჰიტლერსაც კი არ გამოუყვანია ბავშვები ბრძოლის წინა ხაზზე. რატომ ხდება ასე? — მათ უნდათ, რომ იქ ბავშვი მოკლან, რის შემდეგაც ვითარება უკიდურესად დაიძაბება. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, მშობლებს დიდ თანხებს აძლევენ, რათა ზოგმა ჭკუააბნეულმა ფული აიღოს და ბავშვი იქ წაიყვანოს, სადაც ორივეს სიცოცხლე ლეტალურად დამთავრდება. ეს ხალხი ძალიან საშიშია. თუმცა აქვე ვიტყვი იმ დადებითზე, რაც „ქართული ოცნების“ დაპირებას უკავშირდება — „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ველიდან გაქრეს. ამისთვის დიდი სამუშაოები ჩასატარებელი აღარ იქნება, რადგან კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერები გვარამიადან დაწყებული, გახარიათი დამთავრებული, თავად უწყობენ ხელს, რომ ეს მოძრაობა აიკრძალოს, ხოლო ლიდერები, რომლებიც სახელმწიფო დანაშაულს სჩადიან და ქვეყნის, ერის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, პოლიტიკიდნ განიდევნონ.

ბავშვის პოლიტიკაში ჩართვა, მისი გაწირვა, საკუთარი მერკანტილური ინტერესებისთვის, მსოფლიოს მასშტაბით დანაშაულია. აქვე ყურადღება შემდეგზე მინდა გავამახვილო: მსოფლიო მასშტაბით უამრავი ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს. დამისახელეთ, რომელმა მათგანმა ამოიღო ხმა იმ უმსგავსობაზე, რაც ხდება. არავინ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ერთი ხელიდან იმართება. კაჟაია ბულავებმა გვარამიებს, მელიებს, ელისაშვილებსა და სხვა ნაყარ-ნუყარ ხალხს ხელი აუქნიეს და ამათაც ბღავილი დაიწყეს. მერე თვითონ ამათ ახალგაზრდებს დააწყებინეს ბღავილი. ოპოლიდერები ციხეში რომ გაუშვეს, ნახეთ, როგორ დაშოშმინდნენ კაჟაიას ბავშვები. ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რა ხდება ხელოვანთა რიგებში. ეს ხელმოცარული ხალხია. როცა იპოლიტე ხვიჩიას, სერგო ზაქარიაძის, თენგიზ არჩვაძის, რობერტ სტურუას, სოფიკო ჭიაურელის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვა გენიოსების ქვეყანაში ამბობ, მსახიობი ვარო, ცოტა მორიდება უნდა გქონდეს. შე კაი ადამიანო, ამდენ ხანს სად იყავი, რატომ არ იღებდი ხმას იმ 9-წლიან რეჟიმზე?! ახლა აგიტყდათ დემოკრატობანა, ახლა გინდათ შიგ ევროპაში და გარეთ არა?! ვსვამ კითხვას, ამ ხელოვანებს პროტესტი რატომ არ უჩნდებათ, როცა ე. წ. მშვიდობიანი მოქალაქეები პოლიციელებს ცემენ, თავში ქვებს ურტყამენ, მოლოტოვის კოქტეილებს ესვრიან?! რატომ არცერთმა გამოთქვა პროტესტი ტერორისტი გრიგორიადისის შეწყალების გამო?! რატომ არ აპროტესტებენ დაშავებული პოლიციელების მდგომარეობას, რომლებიც მძიმე დამწვრობებით საავადმყოფოში იმყოფებიან. დასკვნა ერთია: ეს ადამიანები საქართველოზე არ ფიქრობენ, ყოვლად ხელმოცარულნი არიან და ლომჯარია-გიგაურის არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსებთან არიან შეკრულნი, საიდანაც ე. წ. „კარმუშკებს“ უყრიან. როცა ლომჯარია-გიგაურებს და გარე პატრონებს დასჭირდებათ, ამ ხელოვანებს კაჟაია ბულავა ხელს აუქნევს და ესენიც ბღავილს დაიწყებენ, საქართველოში დემოკრატია ირღვევაო.

აქვე დააკვირდით, როგორ იქცევიან ოპოზიციური არხების ჟურნალისტები. მათ მივმართავ: რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა სეთურმა და უბედურმა თაბაგარმა. მათი პატრონები უმძიმეს სიტუაციაში არიან, რომელთა დავალებასაც ეს ვაიჟურნალისტები ასრულებენ. ესენი სახედაკარგული ადამიანები არიან, რომლებსაც, მეფეები ტუალეტში რომ მიდიოდნენ, იმის ღირსადაც არ თვლიდნენ, რომ მათთვის საცვალი ჩაეწიათ და აეწიათ. აი, ამაზე დაბლა დგანან. ესენი კეზერაშვილის, ნაყოფიას, ხაზარაძის, ჯაფარიძის ფულის ფასად, მათი ქვედა საცვლების ამწევ-ჩამწევები არიან.

**თამარ შველიძე**

# ულიდერო ქართული „მაიდანი“



*გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი*
*მაია ნიკოლეიშვილი*

**— ქალბატონო მაია, რა სცენარით იმართება ე.წ. ქართული მაიდანი, საით მიდის პროცესი?**

— ზოგადად, ფერადი რევოლუციები სხვადასხვა ტიპისაა, ზოგს გამოკვეთილი ლიდერი მართავს. ეს კი ულიდერო „მაიდანია“. ახალგაზრდობა, ბავშვები საზარბაზნე ხორცად არიან გამოყენებულნი. რასაც აქციებზე ვხედავთ — ახალგაზრდების რადიკალიზმი ნაყოფია იმ განათლების სისტემისა, რაც სააკაშვილის რეჟიმიდან დაწყებული დღემდე, აბსოლუტურად დეფორმირდა.

ქართული ულიდერო „მაიდანისთვის“ დამახასიათებელია ორმაგი ფსკერი. ფსკერის ერთ, უკანა მხარეს არიან სტუდენტები — მაქსიმალისტები, რომელთაც მართლა ჰგონიათ, რომ ძალიან ბევრი ისწავლეს. ასევე, ახალგაზრდა 30 წლამდე ასაკის პროფესორები. ამ უმეცრებს სხვები გაუნათლებლები, საკუთარი თავი კი პლატონები ჰგონიათ. ეს კატეგორია — სტუდენტები, ახალგაზრდა პროფესორები, ლექტორები აქციაზე კოცონს ანთებენ, მის გარშემო მღერიან და თავიანთი მოკლე ჭკუით ფიქრობენ, რომ ქვეყნის ბედი ზურგზე აწევთ. აი, ფსკერის მეორე მხარეს კი პირდაპირ ხელისუფლების წინააღმდეგ მომართული ძალა დგას. ესენი არიან კანონიერების ჩარჩოდან აბსოლუტურად გასული, აგრესიული, დატრენინგებული ახალგაზრდები, ბავშვები, რომლებიც არ აცნობიერებენ, რომ მათ წინ სახელმწიფოა. პოლიციელების მიმართ ზღვარგადასული აგრესია აქვთ და ვერც იმას აცნობიერებენ, რომ მათ წინ ადამიანი დგას. პოლიციელებს რობოკოპები დაარქვეს, რითაც მათი დეჰუმანიზაცია მოხდა. ანუ, მოწინააღმდეგე არის მტერი, ის არ არის ადამიანი. პოლიცია მათთვის რობოტია, რომელსაც ისე უნდა ებრძოლო, როგორც კომპიუტერულ თამაშში. ამ ახალგაზრდებს არ აქვთ იმის შეგრძნება, რომ ცეცხლი ადამიანს წვავს. ესენი რეალობიდან გამოსული აგრესიული ზომბები არიან, თანაც ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გაჟღენთილნი, მათ შორის, გოგონებიც. შესაბამისად, დაუნდობლები, ყველაფერზე წამსვლელნი არიან, რაც ხელთ უჭირავთ, ყველაფერს მკვლელობის იარაღად იყენებენ. ისინი პოლიციელებს ესვრიან არა ქვებს, არამედ ლოდებს. ჩვენ, ნორმალურები, ადამიანებს ვგრძნობთ, ისინი — ვერა. მათ ცხოველებსაც ვერ ვუწოდებ, ისინი აგრესიული ზომბები, ჩვეულებრივი მკვლელები არიან. მათ ავტომატი რომ მისცე, ყველას დახოცავენ. ეს პათოლოგიაა, რომელიც არც მონანიებას ექვემდებარება, არც სირცხვილს, არც ადამანურ გრძნობებს. არ მომერიდება, პირდაპირ ვიტყვი, ფსკერის ეს მეორე მხარე, სრულიად ეგზალტირებული, ნარკოტიზირებული მკვლელები არიან, რომლებიც იმით კლავენ, რაც ხელთ აქვთ. ხვალ ცეცხლსასროლი იარაღი, დანები რომ მისცე, დაუფიქრებლად მოკლავენ. ამიტომ აქ დანდობას, ენის მოჩლექვით საუბარს — შვილებო, გამოფხიზლდითო, აზრი არ აქვს, მათ ეს არ ესმით. სამწუხაროდ, აქაც დამნაშავე განათლების სისტემაა.

**— ეს რა თაობაა, რა სამყაროში იზრდებიან?**

— „ჯენზი“, რომელიც საკმაოდ რთული თაობაა, მათ საკუთარი „მე“ ნაკლებად აქვთ განვითარებული. ისინი ვირტუალური სამყაროს შვილები არიან. მშობლებს ტყუილად ჰგონიათ, რომ „ჯენზი“ თაობას თვითონ ზრდიან. არა, მათ ვირტუალური სამყარო ზრდის. თანაც, განათლების სისტემა მათ აბსოლუტურად არაფერს აძლევს, არც პატრიოტიზმს, არც სამშობლოს შეგრძნებას. ამიტომ ეს ზომბების დაუნდობელი ბრბოა, რომელიც მხოლოდ იზოლაციას ექვემდებარება. არის თუ არა შესაძლებელი მათი შემობრუნება? დიახ, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მაკარენკოს მეთოდებით. ანუ, დეზომბირება მარტო ამ მეთოდითაა შესაძლებელი. მათ ადამიანური ენა არ ესმით, კლიპური აზროვნება აქვთ. ამიტომ ჯერ ჩვეულებრივი აზროვნება უნდა ასწავლო, მერე ფილტრების აღქმა და ბოლოს — ადამიანობა.

**— საკმაოდ მწვავე სურათი დახატეთ, არადა პრეზიდენტი მათ მშვიდობიან დემონსტრანტებს უწოდებს...**

— დიახ, ზურაბიშვილი, ეს ყოვლად უზნეო დედაკაცი ყველაფერს კადრულობს. აქციაზე მყოფებსაც ჰგონიათ, რომ ეს აგრესიული ზომბები მშვიდობიანი დემონსტრანტები არიან იმიტომ, რომ ისინი იმ ტელეარხებს უყურებენ, სადაც ჩანს, რომ აქციის მონაწილეები კოცონის გარშემო სხედან და ღიღინებენ. მკვლელ ზომბებს არ უყურებენ. ერთმა ფსკერმა თავადაც არ იცის, რომ ეს მეორე ფსკერი მათსავე აქციაშია. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ რამდენიმე ტელევიზია პირდაპირ ადამიანების ზომბირებაზე მუშაობს, რაც სახელმწიფომ უნდა შეაჩეროს. პრემიერმა განაცხადა, რომ აქციაზე ნიღბით სიარული უნდა აიკრძალოს, რასაც მივესალმები. როცა აქციაზე ორმაგი ფსკერია, სადაც ზომბები დარბიან, იქ ადამიანობა არ ჭრის, მკაცრი ზომებია მისაღები. კანონები ადამიანებისთვის იწერება და არა ზომბებისთვის.

**— ქალბატონო მაია, ნიშანდობლივია ისიც, რომ თაობათა ბრძოლა მიდის, რასაც მამათა და შვილთა ბრძოლასაც ადარებენ...**

— დიახ, ოჯახები გაიყო. შვილები მშობლებს განუდგნენ. მამების და შვილების ასეთი მასიური დაპირისპირება, საქართველოს არ ახსოვს. ეს ტოტალურად ხდება. წართმეული შვილების თაობა მივიღეთ. გაოგნებული ვარ, ჩემი მეგობრების შვილები როგორ მიმართავენ პატივსაცემ ადამიანებს: გამოდით აქციაზე... ჩვენ საქართველოს ვიცავთო. ამ იდიოტებს ჰგონიათ, რომ საქართველოს იცავენ. დიახ, იდიოტია ადამიანი, როცა ვერ ხვდება, თავის ქვეყანას რა სტკივა. სადამდე შეიძლება ამ სიგიჟით ქვეყანა მივიდეს. რა მნიშვნელობა აქვს, პროფესორი გაგხადეს თუ სხვა რამ. ახალგაზრდა ლექტორების და ვაი-პროფესორების ნასწავლი ვის რად უნდა, თუ ქვეყანას დააქცევენ. ხომ ვიცით, ჩვენს თავზე რამხელა დამოკლეს მახვილია აღმართული. სირიას უნდოდა საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა. ის აყვავებული ქვეყანა იყო, მაგრამ გაუბედურდა. ასევე ვხედავთ, რა ხდება სამხრეთ კორეაში — მიზანი ერთია, როგორმე ჩრდილოეთ კორეას შეასკდეს და რუსეთი იქით გაიტყუონ. ამ დროს, დამდგარა ეს პროფესურა და გაიძახის, საქართველოს მომავლისთვის ვიბრძვითო. რისთვის იბრძვიან, ტვინი არ აქვთ თავში. ვინ ანდო მათ სწავლება? ტვინი რომ ჰქონდეთ, ხომ მიხვდებიან, რომ ამით მხოლოდ რუსეთს იწვევენ და ირანისთვის პლაცდარმს ამზადებენ, რათა მას აქედან დაარტყან.

ამიტომ ხელისუფლებამ მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს. დღეს სახელმწიფო პოლიციაზე დგას. დარწმუნებული ვარ, გონიერებს არ მოსწონს, პოლიციელებს ამდენი თმენის ვალდებულება რომ აჰკიდეს. ამ პროცესის გახანგრძლივება შეცდომაა. თმენის ვალდებულება უცებ თუ ამოხეთქავს, არ გამოკვირდება. ტელევიზიით ვუყურებდი, პოლიციელის წინ გოგონა იდგა და მას ისეთ შეურაცხყოფას აყენებდა, ამას მე და თქვენ ვერ მოვითმენთ. მით უმეტეს, არ უნდა მოითმინოს პოლიციელმა. იგი არის ადამიანი, რომელიც საფრთხეს კი არ უშინდება, პირიქით, საფრთხეზე მიდის. შენ თუ პოლიციელს თმენას შეაჩვევ, ამით მისი ფსიქიკის ტრავმირებას მოახდენ. ხვალ როგორ გვინდა, რომ ის დამნაშავეს უშიშრად გაეკიდოს, დაიჭიროს. პოლიციელი მზად არის ტყვიას შუბლი შეუშვიროს და შენ ამ დროს, ვიღაც გოგოს აგინებინებ და ამას ათმენინებ. ეს დაუშვებელია.



მერე გაჰყვირიან, ჩადენილი დანაშაულები გამოიძიეთო. როგორ გამოიძიოს, როცა პოლიციელს ცეცხლს უკიდებ. რატომ



ითვლებოდა თბილისი ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქალაქად? მას პოლიციელები იცავდნენ. მას რომ წვავ, ქვებს ესვრი, აინვალიდებ და თან გინდა, რომ დაგიცვას, ეს როგორ გამოდის?! წარმოგიდგენიათ, ქართველი პოლიციელი, რომელიც ხალხს ეხმარება, უცებ მტერი გახდა. როცა სახელმწიფო ამ ეგზალტირებულ ახალგაზრდობას ამდენის უფლებას აძლევს, ძალიან სცოდავს. ხელისუფლებას ხმა სიმშვიდისთვის მივეცით. თუმცა, რაც ახლა ხდება, ეს მშვიდობა არ არის. სახელმწიფომ მშვიდობა უნდა უზრუნველყოს და ვანდალიზმი აღკვეთოს. გვეყოფა ევროპელების წინაშე პრანჭვა, მათ თავი უკვე საკმარისად მოვაწონეთ. ქართველ ამომრჩეველს ნერვები დააწყდა. საბედნიეროდ, გონიერება გვყოფნის, გარეთ არ გამოვვარდეთ და მართლა სამოქალაქო ომამდე არ მივიდეთ. დასავლეთს რომ აჩვენო, აი, როგორები ვართო, საჭირო არ არის, მან ყველაფერი იცის. დასავლეთმა ისიც იცოდა, რომ ერაყში ქიმიური იარაღი არ იყო, მაგრამ მაინც გააკეთა ის, რაც გააკეთა. მას ასე უნდოდა. დიახ, რასაც უნდათ, იმას დაგაბრალებენ, რადგან ახლა ასე სჭირდებათ. ახლა მათ მწვანე შუქი აქვთ ანთებული, რათა 20 იანვრამდე ყველაფერი აწყონ. ჩვენ საკუთარ სახელმწიფოზე უნდა ვიფიქროთ.

აქვე ერთსაც გეტყვით, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრისგან მეტ სერიოზულობას მოვითხოვ. როცა ლავროვის მოხსენების დროს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რომელთაც ჩვენ დაგვასანქცირეს, დემარში განახორციელეს, მათთან ერთად დარბაზი არ უნდა დატოვო. ეს დამამცირებელია იმიტომაც, რომ ამ ქვეყნებმა ჯერ კიდევ გუშინ თავს ლაფი დაგვასხეს. მეორეც, ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან დღეს თამამად რომ ვდგავართ, ეს იმიტომ, რომ რუსეთის ეშინიათ, თორემ ბელგრადზე უარეს დღეში ჩაგვაგდებდნენ. დიახ, ვერ გვბომბავენ, რადგან შიში აქვთ, რომ რუსეთი პასუხს გასცემს. აქამდე სტრატეგიული მოთმინებით მოვედით და ეს ხაზი უნდა გავაგრძელოთ, რათა ხვალ საქართველოში გაზი, დენი, ხორბალი არ გაქრეს. საგარეო საქმეთა ახალი მინისტრისგან ხალხს არ მოუთხოვია, რუსეთთან ურთიერთობა გაამწვავეო. ახლა კონფრონტაციის დრო არ არის. მეტი დიპლომატიაა საჭირო. ევროკავშირის ბიუროკრატებთან კონფრონტაციაში შევედით, თუ რუსებთანაც იგივე მოხდა, სირია შორს აღარ იქნება. მსგავსი დემარშები პროვოკატორ სახელმწიფოებთან ერთად, არ უნდა განმეორდეს.

**— ზურაბიშვილის ტრამპთან შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

— ტრამპის მოსვლის მერე ბევრი რამ დალაგდება. კითხვის ნიშანი მრჩება ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით, რამდენად უსაფრთხო იქნება ჩვენთვის იქ განვითარებული პროცესები. ტრამპის პოლიტიკა ირანის მიმართ ცნობილია, არცთუ პოზიტიურია. ამერიკას საქართველო, სამხრეთ კორეასგან განსხვავებით, ასაყვავებლად არ უნდა. სამხრეთ კორეა აყვავდა, აქ ამერიკას მსგავსი არ გაუკეთებია, არაფერი აუშენებია. ერთადერთი ფუნქცია, რაც შეიძლება საქართველოს ამერიკამ შესძინოს, ირანის წინააღმდეგ პლაცდარმად გამოყენებაა. აქედან გამომდინარე, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ზურაბიშვილზე რა გითხრათ, მოღალატე, ყოვლად გარეწარი დედაკაცია. მას ქართველი ერის მტრობა პირდაპირ გენში უდევს. მისგან ოდესმე გაგიგიათ, „ჩემი ქვეყანა“, ან „სამშობლო“ ეხსენებინა?! არ არის საქართველო მისი სამშობლო, რაც ბოლო დროს ღიად გამოავლინა.

თამარ შველიძე

# ქალაქის გადაწვა დანაშაულია, დანაშაულთან კი არავითარი კომპრომისი არ შეიძლება!



***გვესაუბრება საინფორმაციო ანალიტიკური პორტალის, for.ge-ს მთავარი რედაქტორი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი გიორგი იაკობაშვილი***

**- გია, ბოლო დროს რადიკალები აქტიურად ესხმიან თავს „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ და მუდმივ აუდიენციას ითხოვენ. რა არის ამის მიზეზი, ის, რომ მათ არხებს რეგიონებში ვერ უყურებს მოსახლეობა?**

- მიზეზი ის არის, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ უნდათ შექმნან მორიგი „მთავარი არხი“, „ფორმულა“, „ტვ პირველი“, ან „კავკასია“. ეს არის მათი მიზანი. მათ ბალანსი, კანონის წინაშე თანასწორობა, ადამიანის უფლებების დაცვა არ აინტერესებთ. განაცხადეს, რომ „ხალხის ხმა არ ისმის“ და ყოველდღე ოთხი კაცი უნდა დაჯდეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში, რომლებსაც თავად შეარჩევენ და გამოგვიგზავნიან. შერჩეულების შემრჩევი ვინ იქნება და ის შემრჩევი თავად, ვინ უნდა შეარჩიოს, ჯერ მაგაზე ჩამოყალიბდნენ! თუმცა, რა თქმა უნდა, ჩამოყალიბებულებიც არიან - უნდა შეარჩიონ ნაციონალებმა, ნჯო-ებმა, უნდა შეარჩიოს ნინია კაკაბაძემ და სოფიო ხუნწარიამ, რომელიც მთელი ცხოვრება პროპაგანდისტულ არხებზე მუშაობდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ყველასია და ჩვენთან არავინ იბლოკება, სწორედ მაგაშია არხის როგორც წარმატება, ასევე - პრობლემა. როცა ყველა მხარეს აჩვენებ, ბოლო-ბოლო, ადამიანები მაინც ობიექტურ სიმართლეს ხედავენ, რაც, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მხარეს აღიზიანებს. როცა ქუჩაში ხდება არეულობა, აჩენენ ცეცხლს, მომზადებული აქვთ მოლოტოვის კოქტეილები, წვავენ ქალაქს და ამას აჩვენებ - ეს აღიზიანებთ! უნდა აჩვენო და უნდა თქვა, რომ მათ მხარეს არიან თეთრი და ფუმფულა, უწყინარი ბავშვები, მეორე მხარეს კი, მონსტრები, ფაშისტები და გესტაპო, - ასე უნდა თქვა!

**- როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის ინტერვიუს „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“? მე მგონი, სალომე ზურაბიშვილის მდომარეობა ნამდვილად არ იყო სახარბიელო...**

- რაც დრო გადის და რაც მეტს ალაპარაკებენ მაგ ქალს, ან თუნდაც იმ ადამიანებს, ოთხ-ოთხი რომ დასხდებიან ხოლმე, საღამოობით, პირველი არხის ეთერში, საზოგადოება უკეთ და ნათლად ხედავს მათ სახეებს! მე რომ სალომე ზურაბიშვილის მრჩეველი ვიყო, კორექტულ ფორმებში ვეტყოდი მას, რომ ქალბატონო სალომე, თქვენ ხართ დებილი და უფრო მეტად ნუ გამოაჩენთ იმას, რაც ბრძანდებით! ვინც ეს ინტერვიუ ნახა, დარწმუნებული ვარ, ყველამ თქვა, რომ ის არის არაადეკვატური, რომ სალომე ზურაბიშვილი არის სწორედ ის, რაც ნიკა გვარამიამ ექვსი წლის წინ უწოდა, - რეზიდენტი და კიდევ რაღაც სიტყვა, რასაც არ ვიტყვი! ეს უკვე ყველამ დაინახა. ისეთი დაბნეული და გაფარჩაკებული იყო ინტერვიუს მსვლელობის დროს, რომ ის ქართულიც დაავიწყდა, რაც იცოდა. მე მრცხვენია, რომ მას ხმა მივეცი და, დარწმუნებული ვარ, ასევე რცხვენია ყველა იმ ადამიანს, ვინც ზურაბიშვილს მხარი დაუჭირა. ყველანაირი ლეგიტიმაცია-დაკარგული პრეზიდენტი გველაპარაკება, რომ საფრანგეთში, თურმე, არც არავინ უცემიათ საპროტესტო აქციებზე, არც არავინ დაუკავებიათ, არც არავინ დაურბევიათ, არც არავისთვის მიუსჯიათ, არც ჯარიმა გადაუხდია არავის და მაგალითად მოაქვს მათი აქცია, მაშინ, როდესაც მან სხვებზე უკეთ იცის, როგორი სასტიკია საფრანგეთის პოლიცია. „ყვითელი ჟილეტების“ აქციის დროს, როცა მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ მომიტინგეები, არამხოლოდ იჭერდნენ მათ, არამედ, სანამ დაიჭერდნენ, მანამდე სცემდნენ, მერე იჭერდნენ და ისევ სცემდნენ... და რადგან „ნაცები“ ითხოვენ, რომ საქართველოში უცხოელი მოსამართლეები უნდა იყვნენ, რომ უცხოელებმა უნდა ჩაატარონ ჩვენთან არჩევნები, რატომ არ შეიძლება, რომ საფრანგეთის პოლიცია მოვიწვიოთ აქ წესრიგის დასამყარებლად, როგორც ევროპული სტრუქტურა? საფრანგეთის პოლიცია არის უსასტიკესი, როცა ირღვევა კანონი ქუჩაში, ნიდერლანდების პოლიცია კიდევ უფრო სასტიკია. ინგლისში კი, რაც ხდებოდა რამდენიმე თვის წინ, ალბათ გახსოვთ, ხალხი დახოცეს, ფაქტობრივად!

**- მე ვფიქრობ, რომ ეს ქალი არც ორბელიანების სასახლიდან გამოვა უპრობლემოდ, როცა მისი პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება და ის დღეს ამისათვის ემზადება. აი, მაგალითად, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დონალდ ტრამპს მისალმებოდა მაინც, სხვა თუ არაფერი!**

- მე არა ვარ სხეულის ენის სპეციალისტი, მაგრამ ერთი კი შევნიშნე, რომ ტრამპს სახეზე ეწერა, ვინ არის ეს ქალი და რა უნდა, ნეტავ?! ზურაბიშვილმა ხომ ყოველდღე რაღაც სამარცხვინო უნდა ჩაიდინოს!

რაც შეეხება მის მშვიდობიანად წასვლას, იმედია, ეყოლება ერთი-ორი ნორმალური მრჩეველი, რომელიც ურჩევს, რომ ბოლომდე თავი არ გაიმასხარავოს და არ ჩაიკეტოს, თორემ თუ ჩაიკეტება, არა მგონია, მთავრობამ შტურმით აიღოს იქაურობა. უბრალოდ, თანამშრომლებს ეტყვიან, რომ ხელფასებს აღარ გადაუხდიან, რადგან ეს ქალი იქ აღარ მუშაობს. მე რომ ხელისუფლების ადგილას ვიყო, ბოლომდე გავამასხარავებდი მაგ დედაკაცს, გავუთიშავდი დენს, გავუთიშავდი ინტერნეტს და ყოფილიყო მერე ორბელიანების სასახლეში. მისი შემხედვარე, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, რომ ქალი დაიბადა, გაიზარდა და განათლება მიიღო საფრანგეთში, არის კარიერულად დიპლომატი და, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არის ჩვეულებრივი გოიმი! ეს უნდა დაინახონ ვიღაც-ვიღაცებმა და გაიაზრონ, რომ დასავლეთში განათლების მიღება პანაცეა არ არის. განათლება ინტერნეტითაც შეგიძლია სახლიდან გაუსვლელად მიიღო ადამიანმა, თუ შენ ინტერესი გაქვს, ადამიანობა გაქვს და ნორმალური, კეთილშობილური მიზანი გამოძრავებს.

**- სიტუაცია დღითიდღე იძაბება, ადამიანები ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებიან და არც პოლიციის მხრიდან მოქალაქეებზე ძალადობაა მისაღები. ახლა საიდანღაც „ტიტუშკებიც“ აღმოცენდნენ...**

- კრიმინალისტებს აქვთ ასეთი გამოთქმა, დანაშაული ჩაიდინა იმან, ვის ინტერესებშიც იყო ეს. „ტვ პირველის“ ჟურნალისტების ცემა, ისევ და ისევ მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ აწყობს, სხვას არავის! „ქართული ოცნების“ ინტერესებში ეს, ცალსახად, არ შედის! პროცესი საით მიდის, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ კანონი უნდა აღსრულდეს. როცა იარაღით გაქვს სახლი გამოტენილი, 46 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი აღმოგიჩინეს და აქედან მხოლოდ 20-ია რეგისტრირებული, არ უნდა აღსრულდეს კანონი?! პარლამენტის დაწვა-დარბევა გამოხატვის თავისუფლებაა? - კი ბატონო! ე. ი. მე და ჩემ მეგობრებს სრული უფლება გვაქვს, შევიკრიბოთ, კახეთის გზატკეცილზე „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი გადავწვათ და ასე გამოვხატოთ პროტესტი სანდროს, ბუტას, გიორგის, როინის, ცხინვალის, თამარაშენის გამო... სისხლის, ცრემლის და ტკივილის გამო! ნადირობის სეზონი გაიხსნა? - მოტივაციაც გვაქვს და არც რაოდენობას ვუჩივით. კახეთის გზატკეცილზე გავიდეთ თუ აქვე



მივაკითხოთ ხაზარაძეს და მის კამპანიას?!

ახლა ელისაშვილის მაგალითი ავიღოთ, - აბა, ვინმეს არაკორექტულად დაელაპარაკეთ, მაშინვე მოცვივდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები და დაგაბრალებენ, რომ საუბრობ სიძულვილის ენით, გახასიათებს „ეიჯიზმი“, სექსიზმი... ამ დროს, ალეკო ელისაშვილს სრული უფლება აქვს, რომ ხელი დაარტყას პარლამენტის წევრს, არაფრის გამო დაარტყას ქუჩაში ასაკოვან ადამიანს, მათ აქვთ უფლება, საწამლავი დაასხან პარლამენტის დარბაზში და ამაზე რეაგირება არ არის, შერჩათ ეს ყველაფერი! საერთოდ, კოჰაბიტაციამ მოიტანა ეს კატასტროფული შედეგები, თუმცა, დიდი იმედი მაქვს, რომ ვიღაცვიღაცები გამოიფიტებიან, გამოელევათ, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსი და მასობაში საზოგადოებაც დაინახავს მათ რეალურ სახეს.



**- ვითარება, ფაქტობრივად, ჩიხშია. რა საფრთხე გვემუქრება, თუ მხარეები კომპრომისზე არ წავლენ?**

- ადამიანების მკვლელობის მცდელობა და ქალაქის გადაწვა დანაშაულია, დანაშაულთან კი არავითარი კომპრომისი არ შეიძლება. კომპრომისის მცირე გამოვლინებაც თუ იქნება ხელისუფლების მხრიდან, მე, უბრალოდ, ვიტყვი, რომ ეს არის კოჰაბიტაციის გაგრძელება. პრემიერმა ძალიან გარკვევით თქვა, რომ კოჰაბიტაციის არანაირი ნიშანწყალი არ უნდა დარჩეს ქვეყანაში, რადგან ის, რაც ქუჩებში ხდება, არის იმის შედეგი, რომ კოჰაბიტაციის „გეგმა“ გადაჭარბებით შესრულდა. წარმოიგდინეთ, გაძეძგილია მკვლელებისა და მოძალადეების მხარდამჭერებით საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, განათლების სამინისტრო და დიდი წმენდაა ჩასატარებელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. მე თავად ვიცი, რამდენი ძველი ნაცია მოკალათებული უშიშროებაში. სახელებით და გვარებით შემიძლია ჩამოვთვალო.

„ქართულ ოცნებასთან“ პოზიციონირებენ ისე, როგორც რუს ოკუპანტებთან და ამ დროს, რუსებთან ნაომარი ბიჭების აქცია დაარბიეს გმირთა მოედანზე, მემორიალთან, 90-იან წლებში ნაომარი ვეტერანების აქცია დაარბიეს. შემდეგ, 2008 წლის ომის დროს, ბიჭების ცხდერები მიატოვეს ბრძოლის ველზე და საპატრიარქომ ითავა ისევ მათი გადმოსვენება. ახლა აფრიალებენ ამ დროშებს და აბა, რუსეთი ოკუპანტიაო გაიძახიან. რუსეთი რომ ოკუპანტია, ეს ვიცით, უკვე ორი საუკუნეა, მაგრამ მაგათ ახლა გაიგეს, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. მათი სამშობლო, როგორც ჩანს, უკრაინაა, რადგან საქართველოს ტერიტორიები, რასაც ქვების გროვა უწოდეს, რუსეთს თავად ჩააბარეს.

ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა, ჩვენ გარშემო უნდა დავასრულოთ ის საშინელი კინო - სისხლიანი 9 წელი, რომელიც დღესაც გრძელდება და რომლის მორიგ სერიასაც ყოველ დღეს ვადევნებთ თვალს. ჩხუბი მორევაზეა? - ოკ! ოღონდ, მერე არ თქვან, ჩვენზე მეტნი იყვნენო. დიახ, ბევრად მეტი ვართ და მათ ეს მშვენივრად იციან!

**ნონა ქარქაშაძე**

# მიგდებული სკივრიდან ამოღებული მავნებელი




ლამის დავიფიცე, ამ ქალზე სიტყვას აღარ დავწერ-მეთქი, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა, თავისით გამექცა თითები დასაწერად.

— სამწუხაროდ, ის მრავალთავიანი საგარეო წარმომადგენლობა მსოფლიო მოედანზე, გადააქციეთ სამარცხვინო შეჯიბრად და ქიშპობის საგნად. სამწუხაროდ, გაერთიანებისა და მიუკერძოებლობის სიმბოლოს მაგივრად, ნელ-ნელა თქვენ იქეცით საზოგადოების ერთი ნაწილის პოზიციების გამხმოვანებლად. გადახვედით სახელმწიფო მოღვაწეობიდან პოლიტიკურ არენაზე... შეწყალების დროს ახლობლების მიმართ მეტ ლმობიერებას იჩენთ, ვიდრე უპატრონო მოქალაქეების მიმართ და თქვენს მორალურ ავტორიტეტს აქვეითებთ. უკიდურესი შემთხვევების ნაცვლად, ვეტოებით ხმალაობთ. ჯანსაღი დისკუსიის ნაცვლად დაპირისპირებისა და დაძაბვის მაგალითს იძლევით და...

— ბოდიში, ეს კითხვა არის თუ სასამართლოში ბრალდების წაკითხვა... ვინ დაგიწერათ, — შეაწყვეტინა ჟურნალისტ თამთა სანიკიძეს სალომე ზურაბიშვილმა. ნირწამხდარი ნაძალადევად იღიმოდა რეზიდენტი პრეზიდენტი.

— მე დავწერე, — მიუგო თამთამ და ტექსტის წაკითხვის გაგრძელებას შეეცადა, მაგრამ ვინ დააცადა.

— მე ბრალდებებზე არ ვპასუხობ. კითხვა თუ გაქვთ, დამისვით, მაგრამ...

— გეცნობათ ეს სიტყვები, ხომ, ქალბატონო პრეზიდენტო, — დადასტურებას ელოდა თამთა.

— ბრალდებები მესმის...

— არა, ეს სიტყვები...

— არ ვიცი...

— თქვენი სიტყვებია, ქალბატონო პრეზიდენტო...

— სად!

— 2017 წელს, აპრილში, პარლამენტში, როდესაც იყავით დეპუტატი, თქვენ ამ სიტყვებით მიმართეთ მაშინდელ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, — წყნარად მიუგო თამთამ, არ შეიმჩნია, რომ უსასტიკესი, „დეტსკი მატი“ ჩაუსვა რეზიდენტ პრეზიდენტს და პირქვე დასცა.

ყოჩაღ, კოლეგა!

მდაბლად გიკრავ თავს პირადად მე და ჩემთან ერთად „საერთო გაზეთის“ სარედაქციო კოლეგია!

***

რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილმა შეიცხადა, ყველა ჩემი სიტყვა ხომ არ მემახსოვრებაო და ასეცაა, არავის ემახსოვრება ყველა საკუთარი ნათქვამი, მაგრამ სხვა რამ არის მნიშვნელოვანი. ჟურნალისტი კითხულობდა ტექსტს და ზურაბიშვილმა საკუთარ თავზე მიიღო, რადგან ჩათვალა, რომ „ბრალდებების“ ჩამონათვალს ზედმიწევნით ისე ასრულებს, როგორც ტექსტში იყო. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის დადება შეიძლება, — რა მავნებლობასაც ეს ქალბატონი ეწევა საქართველოს წინააღმდეგ, უცოდინარობითა და გაუაზრებლად კი არ მოსდის, გააზრებულად და გამიზნულად მავნებლობს. ელემენტარულია, ვერანაირად ვერ მიიღებ შენ თავზე იმას, რაც არ გეხება და შორს არის შენგან!

ლანა ღოღობერიძისა არ იყოს, არც სალომე ზურაბიშვილს „ემახსოვრება“ საკუთარი წინაპრების „კაი კაცობის ამბები“, ვითომ-ვითომ გაგონილიც კი არ ექნება...

ლანა ღოღობერიძე გამახსენდა, რადგან ეს „გაპარიჟანკებული“ ქალბატონი იმთავითვე ცუდად მყავს მეხსიერებაში ჩარჩენილი და აქციების დასაწყისშიც შემახსენა თავი. ამ ხნის ქალმა არ დაიზარა და დასაწყისშივე ჩაერთო „მშვიდობიან მიტინგში“, მელიქიშვილის გამზირზე იმის გამო გაყელყელავდა, რომ თურმე საბჭოთა რეჟიმს აგონებს ზელოალური „ქართული ოცნება“ და რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ „მშვიდობიან მომიტინგეებს“ უცხადებს სოლიდარობას. ყველა-ყველა და, ისინი მაინც დადუმდნენ, ვის მამა-პაპასაც ის „ტყემალი“ აქვს ნაჭამი, შთამომავლობას რომ კბილებს მოჰკვეთს...

იმ ქალის მამა 1921 წელს სერგო ორჯონიკიძეს ედგა გვერდზე, შორაპანში, ვაგონებში რომ დახვრიტეს ხალხი, ამ ჯალათობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთავარი შემსრულებელი იყო 1924 წლის აჯანყებულების ერთ-ერთ ჯალათ მამია ორახელაშვილთან ერთად...

ახლა ამ ქალის შესახებ ვთქვათ, მართლა არჩეული პრეზიდენტი რომ ჰგონია თავი და ვადის ამოწურვის შემდეგაც არ აპირებს საპრეზიდენტო რეზიდენციის დატოვებას, არ გამოვალ და ძალით ხომ ვერ გამომათრევენო...

მისი რუსი დიდი ბებიიდან მოყოლები, ჩვენ რაც ვიცით მის წინაპრებზე, ხომ ვიცით და, ირლანდიელ ჟურნალისტსა და ბიზნესმენს ჩეი ბოუზისაც არანაკლები „ევროპული“ ინფორმაცია ჰქონია, რაც X-ზე დაწერა კიდეც.

ჩეი ბოუზი: „უნდა მოვყვე სიმართლე საქართველოს პროევროპელი პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ბნელი წარსული შესახებ. ის ამჟამად საქართველოში ძალადობრივი და უკანონო პროტესტების სათავეში დგას და საქართველოს 2.0 უკრაინად (მეორე უკრაინად) გადაქცევა სურს.

საფრანგეთში დაბადებული საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ნაცისტური დამნაშავისა და კოლაბორაციონისტის, მიხეილ კედიას დის შვილია.

სალომეს ბაბუა იყო მელქისედეკ კედია, რომელიც 1921 წლამდე საქართველოს სასტიკი საიდუმლო პოლიციის უფროსი იყო. მელქისედეკს ჰყავდა შვილი, მიხეილ კედია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანელს ნაცისტებთან თანამშრომლობდა და ის ნაცისტების ერთ-ერთ ლიდერთან, რაინჰარდ ჰაიდრიხთან მეგობრობდა კიდეც“, — წერს ირლანდიელი ჟურნალისტი.

ჰაიდრიხი ნაცისტური გერმანიის ესეს-ისა და პოლიციის მაღალი რანგის თანამდებობის პირი იყო, მას ჰოლოკოსტის „მთავარ არქიტექტორს“ უწოდებენ.

„მეხილ კედია ნაცისტების სადაზვერვო-დივერსიული ორგანიზაციის „ცეპელინის“ წევრი იყო და 1943 წლის 15 მარტს გერმანიის პასპორტი მიიღო, რაც ამერიკული დაზვერვის გასაჯაროებული მასალებით ხდება ცნობილი.

დოკუმენტები გასაჯაროებული იყო ნაცისტური სამხედრო დანაშაულების გასაჯაროების კანონის მიხედვით, რომელიც 1998 წელს იყო მიღებული. იქ პირდაპირ წერია, რომ სალომეს ბიძა გესტაპოს თანამშრომელი იყო.

რა თქმა უნდა, სალომე ბიძამისის ნაცისტური წარსულისთვის პასუხს ვერ აგებს, მაგრამ მისი ბიოგრაფიიდან ნათლად ჩანს, რომ გაიზარდა იმ ადამიანების მიმართ სიძულვილის ატმოსფეროში, რომლებმაც ნაცისტებთან თანამშრომლობაში მყოფი მისი ნათესავები დაამარცხეს და გაანადგურეს.

შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არის, რომ ის ყველგან რუსებს ხედავს?“ — წერს ირლანდიელი ჟურნალისტი.

არ ვიცი, ბატონო ბოუზ, იქნებ, საკუთარი რუსი დიდი ბებიის საქმიანობის გამო ერცხვინება და იმიტომ აეკვიატა ყველგან და ყველაფერში რუსები?

ისე კი, ეჭვი მაქვს, რომ ამ ქალს არც აქამდე რცხვენოდა არაფრის და ახლა მით უმეტეს, როდესაც სამი პარასკევი დარჩა საპრეზიდენტო სასახლეში ყოფნისა.

პრეზიდენტის საჯარო მოწოდება სასწავლო დაწესებულებებში სოციალური ქსელით მიიღეს. სალომე ზურაბიშვილმა უნივერსიტეტების შემდეგ სკოლებს მიმართა და საპროტესტო აქციებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა, ახლა ისე უტიფრად ამბობს, მე არ მომიწოდებია ბავშვების ჩართვა აქციებშიო, რომ ხმაც არ უკანკალებს.

ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქსავიე ბატელიმ ტელეკამერების წინ გვითხრა: „გვთხოვეს, არ ვაღიაროთ არჩევნები — თხოვნა იყო პრეზიდენტ ზურაბიშვილისგან.“

ამ კაცის ნათქვამის შემდეგ, დოკუმენტური მტკიცებულებები რომც არ იყოს, „უნივერსიტეტების შემდეგ, ახლა სკოლების დროა, რომ გამოხატონ სოლიდარობა საპროტესტო აქციების მიმართ მთელი საქართველოს მასშტაბით!“ — ამ სიტყვების მთქმელი ვერ და არ იქნებოდა ეს ქალი?

ვიღაცამ „ბატი ტასიკო“ უწოდა სალომე ზურაბიშვილს. არა, ბატონებო, „ბატი ტასიკო“ კი არა, გაქნილზე გაქნილი ვაჭარია! არც დაუმალავს, ისე გამოაქვეყნა: „სასწრაფოდ მოვუწოდებ ჩვენს პარტნიორებს: დროა, ძლიერი ზეწოლა მოახდინოთ მმართველ პარტიაზე, რომელიც ქვეყანას კლდეზე აგდებს, ნუ დააგვიანებთ!“ — ჩვენ აქ რომ არაფრად ვაგდებთ, ასე არ არის, საქართველოს გარეთ — ქვეყნის პრეზიდენტია...

„ბატი ტასიკო“ მხოლოდ ჩიქორთულ ლაპარაკშია, ისე ყიდის საკუთარ თავს საკუთარი ენით, ვერ ხვდება. მიზეზი მარტივია, მან ხომ ქართული სიტყვები მხოლოდ ზეპირად იცის, უძარღვოდ, მუსიკის გარეშე. ამიტომ, როდესაც თქვა: „სპეცდანიშნულების ძალები აშკარად ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. მათ ურიგებენ ამფეტამინებს, რაც განაპირობებს გამძლეობას, იმიტომ, რომ უკვე მეხუთე ღამეა, ეს გრძელდება“, გასცა ნავარაუდევი, რომ სხვაგვარ შედეგს ელოდნენ მალევე. გარდა ამისა, იცის, რომ ამფეტამინს „მშვიდობიან მომიტინგეებს“ ურიგებენ და ამიტომ არიან ასე ჟამკარარეულები, შესაბამისად, „ჩემი შენ გითხარიოს“ ზედ ურთავს ვარაუდს, ეტყობა, რომ წარმოდგენა არ აქვს რა არის ნაწრთობი ადამიანი. სპეცრაზმელებს ცეცხლისა და ქვების მოგერიება უწევთ, თორემ ენერგიას მათი გამობენტერებული მასა ხარჯავს და სწორედაც რომ არ ელევათ, რადგან გამოამფეტამინებულები არიან.

თემურ ალასანია რომ ქართველებს აგინებდა, მგონი, „სალომესა“ და მისი რაზმის მსგავს ქართველებს აგინებდა, არ არის ყველა ქართველის მხრიდან საგინებელი თუ რა, ქალი მოწოდებით არის ერთმანეთში გადაზელილი მოძალადეც და მოღალატეც.

ეს ის ქალია, 1992 წლის 7 იანვარს, შობა დღეს, თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანს და მთელ ოპოზიციას მადლობა რომ გადაუხადა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის გამო;

ის არარაობა ქალია, მიხეილ სააკაშვილმა დედამისთან ერთად რომ ჩამოიყვანა საფრანგეთიდან, საქართველოს მოქალაქეობა აჩუქა ორივეს და შემდეგ, ჯერ ელჩად და მალევე საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა, მაგრამ ისე აუჯანყდა სააკაშვილს, დღემდე ვერ შეაწყალებინეს თუნდაც ფორმალურად. ქალს ოპოზიცია სათავისოდ უნდა და კონკურენტს რანაირად შეიწყალებს, მით უფრო, რომ იმ კრებსით დასავლეთსაც აღარ უნდა შერეკილი მიშა და პატრონთაგან არავინ აიძულებს მის შეწყალებას.

ეს ის მავნებელია ქალია, რომელიც ბატონმა ივანიშვილმა საფრანგეთში, სადღაც მიგდებული სკივრიდან ამოიღო და სპეციალურად მისთვის გაწყობილ სასახლეში ძლივს დადო 6 წლით — ხალხი იმდენად წინააღმდეგი იყო, რომ მეორე ტური გახდა საჭირო – ცუდსა და უარესს შორის იყო არჩევანი გასაკეთებელი. შემდეგ ივანიშვილსაც აუჯანყდა. ისლა მაინტერესებს, ამ ქალზე უარესს რას იზამდა გრიგოლ ვაშაძე, ნეტავ?

ახლა, ჯერ არავის აუჯანყდება, იმედი აქვს რაღაც-რაღაცების და თუ ისე არ გამოვიდა, როგორც წარმოუდგენია, მერე რას იზამს, პატრონებს როგორ აუჯანყდება „უბედური შემთხვევის“ შიშით...

ეს არის ქალი, რომელსაც არაფრის არ რცხვენია და ასაბუთებს, რატომაც — თანამდებობაზე რომ ხარ, ბულინგიც უნდა აიტანოო, — რა თქმა უნდა, რაც მას აქვს ნაკადრი, რისილა უნდა შერცხვეს...

ასეთი სინდისნამუსგარეცხილი ქალი, რა თქმა უნდა, მივიდოდა სპეცდანიშნულების რაზმთან და ნებისმიერს მიუკაკუნებდა ფარზე, მე ვარ თქვენი ლეგიტიმური პრეზიდენტი, მე უნდა დამემორჩილოთო, — ეს საზიზღრად უსირცხვილო, „კოჭლი იხვი“, თითქოს პოლიციელების ცოცხლად დამწველი გრიგორიადისი მე შევიწყალე...

ამ უსირცხვილმა ქალმა, როგორც კი გაიგო, ტრამპი იქ იქნებაო, კისრისტეხით გავარდა პარიზში. პირველი ფოტო რომ ვნახე, სირცხვილით დავიწვი — ისეთი ცხრადმოკაკვული მიეხლა სადღაციდან გამომძვრალი სკამზე მჯდომ ტრამპს ეს ფუფალა მოულოდნელად და ხელი გაუწოდა, გული გადამიქანდა, ხუთდოლარიანი არ ჩაუდოს ხელშიმეთქი. მაგას გადავრჩით, გამოწვდილ ხელს ტრამპმაც შეაგება ხელი, მაგრამ ფეხზე არ წამოდგა. ეტიკეტი არ ესწავლება ტრამპს და რა ვიფიქრო, ტრამპი სალომეზე დაქნეულია თუ ძაღლად არ ჩააგდო?

მეორე ფოტოზე ტრამპი, მაკრონი და ზურაბიშვილი არიან გამოსახული. კი, ნამდვილად გაუხერხებდა გერონტოფილი მაკრონი სიმპათიურ სალომეს ტრამპთან შეხვედრას, არ მოუწევდა სალომეს სააკაშვილივით ტრამპის საპირფარეშოსთან ჩასაფრება, ობამასთან ერთად ფოტოზე დაფიქსირება რომ უნდოდა.

ტრამპის გარდა ილონ მასკსაც შევხვდი, მასაც ავუხსენი საქართველოში არსებული სიტუაცია და ველოდები როდის ვუმასპინძლებ მას ჩვენს ქვეყანაშიო, — ვითომ ჭეშმარიტი სიხარულით წერს ეს ცრუ და წურბელა ქალი.

ეს თურმე ილონ მასკს ელოდება და ახლა ამ ქალის ორბელიანების სასახლიდან გამოტანა გახდება დეკემბრის თვის მორიგი ხათაბალა...

**ზურა ოქხერელი**

# მომიტინგეებო, შეიგნეთ! საქართველო აღარ არის ბანანის რესპუბლიკა...



*გვესაუბრება სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი ᲓᲐᲩᲘ ᲪᲐᲒᲣᲠᲘᲐ*

**— დაჩი, კობახიძის გადაწყვეტილება ოპოზიციამ ევროპის გზის ჩაკეტვად და რუსეთისკენ სვლად მონათლა. რეალობა როგორია?**

— ოპოზიციას სჩვევია, ქოთანს ყური იქით მოაბას, საითაც აწყობს. საბაბად გამოიყენეს ისიც, რომ ჩვენი ევროინტეგრაცია კონსტიტუციით არის გაწერილი და აყვირდნენ, არიქა, ხელისუფლება კონსტიტუციას არღვევს, ევროპული გზიდან გადაუხვიაო.

არჩევნების მერე კი, გაიძახიან, რუსეთში გავიღვიძეთო. რამდენჯერ უნდა გავიღვიძოთ რუსეთში, ვეღარ ვითვლი. თურმე, გამჭვირვალობის კანონი ძალაში რომ შევიდა, არხანგელსკში გაგვიღვიძია. ამათი არ ვიცი და პირადად მე თბილისში ვიღვიძებ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩვენ არასდროს გავიღვიძებთ არც ჩელიაბინსკში, არც ბრიუსელში, არც პარიზში. ქართველი ხალხი ყოველთვის საქართველოში გაიღვიძებს. ეს სიგიჟე უნდა დამთავრდეს. არ შეიძლება ქართველისთვის საქართველოზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი სხვა რამ იყოს. ევროპა ჩვენზე ვერ იზრუნებს. საკუთარ ქვეყანაზე თავად უნდა იზრუნო. ოპოზიცია რომ გაიძახის, ევროპულ კურსს გადაუხვიეთო, როგორ უნდა გადაუხვიო იმას, რაც შენი შექმნილია და რაც თავად ხარ.

რუსთაველზე სრული სიგიჟე ხდება — ადამიანებმა გადაწყვიტეს, ვითომ, რუსეთში გაღვიძებაზე უარის თქმის მიზნით, პარლამენტს ცეცხლი წაუკიდონ, პოლიციელებს მოლოტოვის კოქტეილები ესროლონ, ასევე, დაუშინონ პიროტექნიკა, შურდულებით ფოლადის ბურთულები, ქვები, რუსთაველის გამზირის განადგურებული ინფრასტრქტურა — ფილაქნები, მარმარილოს ქვები. ეს ბარბაროსობაა, რასაც არაფერი აქვს საერთო არც ევროპულ ფასეულობებთან და არც ქართველობასთან. ეს ადამიანები მშვიდობიანი მანიფესტანტები არ არიან.

აქციის ორგანიზატორებმა მის მშვიდობიან ჩატარებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. მშვიდობიანი მანიფესტანტები აქციის ხულიგან, ბარბაროს მონაწილეებს უნდა გაემიჯნონ. არსებობს ჯგუფი, რომელიც დანაშაულს სჩადის და მას ფარად არ უნდა გადაეფარო. როცა პოლიცია დამნაშავის დაკავებას ცდილობს, კბილებით არ უნდა გადაეფარო. დიახ, ადამიანები, რომლებიც პარლამენტის შენობას ცეცხლს უკიდებდნენ, ვინც 9-10 წლის ბავშვები აქციაზე მიიყვანა და მოლოტოვის კოქტეილებს აწვდიდა, რათა პოლიციელებისთვის ესროლათ, ცალსახად დამნაშავეები არიან და პასუხი უნდა აგონ. როცა სამართალდამცავებს კანონის აღსრულებაში ხელს უშლი, შენც დამნაშავე გამოდიხარ. იგივე სცენარი მეორდება, რაც უკვე არაერთგზის ნანახი გვაქვს: პოლიციელებს, რომლებიც თავისთვის დგანან, აგრესიული ჯგუფი თავს ესხმის. პოლიციელები 3-4 საათი ტიტანური მოთმინებით ითმენენ ბარბაროსობას, გინებას. გული მისკდება, ასეთ ამაზრზენ გინებას რომ ვისმენ. „მშვიდობიანმა მომიტინგეებმა“ პარლამენტის რამდენიმე ფანჯარა შეგნებულად ჩაამსხვრიეს, იქ ბენზინით სავსე ბოთლები შეაგდეს და მიზანმიმართულად, ორგანიზებულად პიროტექნიკის სროლა დაიწყეს, რამდენიმე ადგილას ცეცხლის კერა გააჩინეს. პოლიციამ მხოლოდ ამის მერე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებები, რისი უფლება კი არა, ვალდებულება აქვს, ეს მისი მოვალეობაა. მინდა, იმ ღირსეულ პოლიციელებს, რომლებიც ასეთი მოთმინებით იცავენ ქვეყნის სუვერენიტეტს, ღირსებას და ყოველგვარ უკანონობას მაქსიმალურად კანონიერების ფარგლებში უმკლავდებიან, მადლობა ვუთხრა.

ის დრო, როცა საქართველო ბანანის რესპუბლიკა იყო, სადაც ვიღაცები პოლიტიკურ პროცესებს ქვეყნის გარედან მართავდნენ და მაშინ აწყობდნენ გადატრიალებას, როცა მოესურვებოდათ, წარსულს ჩაბარდა. გადატრიალების მოსურნენი და დამფინანსებლები უნდა შეეგუონ, რომ საქართველო დაბალი ღობე არ არის. იგივე, რასაც მომიტინგეები მთელი კვირაა აკეთებენ, ვინმემ ვაშინგტონში ან ბერლინში რომ გააკეთოს — თეთრი სახლის ფანჯრები ჩაამსხვრიოს, საწვავი და აალებადი ნივთიერებები შეყაროს, ცეცხლი გააჩინოს, იქედან ცოცხალი ვეღარ გამოვა. ამის საშუალებას არც ამერიკა და არც ევროპა არავის მისცემს. ყველამ შეიგნოს — რისი გაკეთებაც არ შეიძლება ამერიკაში, ევროპაში, საქართველოში წახალისებული ვერასდროს იქნება. აქაც ისევე აკრძალულია უზენაესი უმაღლესი ორგანოს დაწვა, როგორც აშშ-ში თეთრი სახლის, სენატის, კონგრესის ან ბერლინში ბუნდესტაგის. ქართველი პოლიციელები მეორეხარისხოვანი ადამიანები არ არიან და მათი შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს. ისინი ღირსეული ადამიანები არიან და არავის აქვს უფლება, მათ ბენზინიანი ბოთლები ესროლოს, ცეცხლი წაუკიდოს და მათი დაწვა სცადოს. ამერიკაში პოლიციელს ასე რომ მოექცე, როგორც ქართულ პოლიციას ექცევიან, შეიძლება ცოცხალი ვერ გადარჩე. როცა თეთრ სახლზე ზუსტად ისეთივე შტურმი მიიტანეს, რასაც კვირაზე მეტია აქ ვუყურებთ, ამერიკაში ამ ადამიანებს პირდაპირ ცეცხლი გაუხსნეს, რამდენიმე მათგანი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო დაკავებულ პირებს 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ასე რომ, საქართველო სუვერენული, ღირსეული სახელმწიფოა და უკანონობას არ დაუშვებს, მის წინაშე ყველა პასუხს აგებს.

ვიღაცები უცხოეთიდან, საკუთარი ქვეყნის განადგურების, დირექტივებს პირდაპირ ტელეფონით იღებენ, ეს უნამუსობა, ქვეყნის ღალატია. რით განსხვავდება ყოველივე იმ საქციელისგან, რასაც საუკუნეების წინ სჩადიოდნენ, როცა მტრებს ეუბნებოდნენ, ქართველებს მეზარბაზნეები არ ჰყავთო. დიახ, ეს ისეთივე უნამუსობაა, შაჰის კარზე რომ დარბოდნენ და საქართველოს აბეზღებდნენ, რათა უცხო ქვეყნის დახმარებით ძალაუფლება ხელთ ჩაეგდოთ და ქართველ ხალხს კისერზე მოჯდომოდნენ. საკუთარი ქვეყნის წინაშე ახლაც ანალოგიურ მტრობას აქვს ადგილი, რასაც ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს.

**— ხაზარაძემ პატიმრების გვარამიას და სხვათა გათავისუფლება მოითხოვა. იგი ხალხს გაფიცვისკენაც მოუწოდებს...**

— მართლაც საოცარია ხაზარაძის მოწოდება — გაიფიცეთო. როგორც ვიცი, „თი-ბი-სი ბანკი“ მუშაობს და ადამიანებიც სესხებს ისევ იხდიან. კარგი იქნება, თუ ხაზარაძე საკუთარ ბანკს და მის ხელთ არსებულ დიდ ბიზნესებს გაფიცავს. მისი არცერთი მაღაზია — სუნამოების, ფეხსაცმელების და ა. შ. არ გაფიცულა. მას საქართველოს ბიზნესის, ლამის, 30% უჭირავს. ამ ფონზე ვის მოუწოდებს გაფიცვისკენ?! თავად გაფიცოს თავისი ბიზნესები, მაგალითად, „თბილისი ცენტრალში“, სადაც არავინ გაფიცულა, ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ. ასევე, ყველა ბანკის ოფისი, მაღაზიები, საიდანაც ხაზარაძეს შემოსავალი აქვს, მუშაობს. ვიმეორებ, ვის მოუწოდებს გაფიცვისკენ? თვითონ ფული უნდა აკეთოს და სხვები გაიფიცონ?! ასევე, არ გაფიცულა ჭყონია. „მაკდონალდსის“ ყველა ფილიალი, „კოკა-კოლას“ ქარხანა კვლავ მუშაობს. მას სანქციების გვერდის ავლით, “კოკა-კოლა“ რუსეთში ისევ გააქვს. საინტერესოა, ამას როგორ ახერხებს? “კოკა-კოლა“ ვითომ გავიდა რუსული ბაზრიდან, რეალურად კი, ჭყონიამ რუსული ბაზარი ქართული „კოკა-კოლით“ გაავსო. საიდანაც „მაყუთი“ შესდით, ის ორგანიზაციები არ გაფიცულან. ის მსახიობები გაიძახიან, მე გავიფიცეო, რომელთა სპექტაკლებზე სამი კაცი დადის. ესენი გინდ გაიფიცონ, გინდ — გამოიფიცონ. ვიმეორებ, მსხვილი



ბიზნესები: „თი-ბი-სი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „კოკა-კოლა“ გაფიცონ. მათი ბიზნესებისთვის დღემდე ხელი არავის დაუკარებია. გვარამიას პროკურორობის დროს ხაზარაძის, ჭყონიას და სხვათა მსხვილი ბიზნესები არცერთი არ იქნებოდა და არც თავად იქნებოდნენ ცოცხლები. მათ შეუვარდებოდნენ და გარეთ ნიფხვის ამარა გამოუშვებდნენ, თუ საერთოდ გამოუშვებდნენ. ესენი ჩვეულებრივი უნამუსოები, უტიფრები არიან. ამიტომაც ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთა. თურმე, ვიღაცას ევროპაში „ქართული ოცნება“ არ მოსწონს, რადგან გამჭვირვალობისა და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი დააინიცირა, რისი უფლებაც, დასავლეთის აზრით, არ გვქონია. საქართველოს მონური დამოკიდებულებით უყურებენ. ქართველისთვის კი მონური მორჩილება მიუღებელია.

**— სოცქსელებში პირდაპირ ისმის მოწოდებები: აჯანყდი, რევოლუციის დროაო...**

— ქართველ ხალხს საკმაო გამოცდილება დაუგროვდა და ამ საკენკს აღარ აკენკავს. ხომ ვხედავთ, რა დამართეს უკრაინას, მაიდნიდან მოყოლებული, დღემდე. ჯანსაღ საზოგადოებას ნამდვილად არ აქვს სურვილი, საქართველოში იგივე მოხდეს, რაც უკრაინაში. საქართველომ მსგავსი რამ უკვე გამოიარა შლეგი პრეზიდენტის დროს, რომელმაც ძალაუფლება ხელთ ძალით ჩაიგდო. იგი ქართველ ხალხზე ძალადობდა, რასაც აღარ დავუშვებთ.

**— სხვათა შორის, ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუციით კვლავ მიშას შეწყალებას გვთხოვენ...**

— ევროპარლამენტი კორუფციის ბუდედ გადაიქცა. „გლობალური ომის პარტია“ ევროპარლამენტის გარკვეულ ჩინოვნიკებს აკონტროლებს. თუმცა, იქ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებიც არიან, რომელთაც საქართველოსთან მიმართებით ადეკვატური პოზიცია აქვთ. სჯობს, ევროპარლამენტმა საკუთარ თავს მიხედოს და გლობალურ პოლიტიკაში პატიოსან მოთამაშედ ჩამოყალიბდეს. ისინი ჩვენი უფროსები არ არიან. საბჭოთა კავშირიც ვერ გვიბედავდა ამდენს, როცა მისი ნაწილი ვიყავით. საქართველოში საბჭოთა ჯარი იდგა და ქართველ ხალხს მაშინ არ შეშინებია და ბოლომდე მის ჭკუაზე არ გაუვლია. რატომ გადაწყვიტა დასავლეთმა, რომ შეუძლია თავის ჭკუაზე გვატაროს, გაუგებარია.

**— მიმდინარე პროცესებში პრეზიდენტის როლზე რას იტყვით?**

— მასთან დაკავშირებით საუბრისგან დიდი ხანია, თავს ვიკავებდი, რადგან სააკაშვილის წინააღმდეგ ისიც ჩვენთან ერთად იბრძოდა. იმედი მქონდა, რომ ზურაბიშვილი წითელ ხაზებს არ გადააბიჯებდა. რასაც ის აკეთებს ყოვლად მიუღებელია, ჯერ მთელი მსოფლიო მოიარა და სამადაშვილივით ყველას ეხვეწებოდა, კანდიდატის სტატუსი არ მოგვცეთო. უცხო ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გაოგნებულნი არიან — მათ საქართველოს პრეზიდენტი ეუბნება, არჩევნების ლეგიტიმურობა არ ცნოთო. თან არჩევნების გაყალბების მტკიცებულებაც არ აქვს. იმისთვის, რომ სკამი შეინარჩუნოს, მზად არის, ქვეყანას მთელ მსოფლიოში თავი მოჭრას. ეს უკიდურესაც საზიზღარი, სამარცხვინო საქციელია. ასეთი ფაქტი არ მახსენდება, პრეზიდენტმა სხვა ქვეყნების მაღალჩინოსნებს დაურეკოს, სანქციები დაგვიწესეთო. ეს უკიდურესი სიმდაბლეა.

**— საჯარო მოხელეებზე ზეწოლა ხორციელდება, რომელთაც სამსახურების დატოვებისკენ, გაფიცვისკენ მოუწოდებენ...**

— ესეც საბოტაჟის ნაწილია. უარესსაც ვხედავთ, სამწუხაროდ, იმდენად შორს წავიდნენ, სკოლის ბავშვებს აიძულებენ, აქციებზე გავიდნენ, დირექტორებს სასწავლო პროცესის ჩაშლისკენ მოუწოდებენ. საბავშვო ბაღებსაც კი ეუბნებიან, გაიფიცეთო. ეს ყველანაირ ზღვარს სცდება. შოკში ვარ. სწორედ იმიტომ არიან ფაშისტები, რომ ჯერ სააკაშვილის დროს დააყენებდნენ ბავშვებს და „მიშა, მიშას“ აძახებინებდნენ, ახლა კი 8-9 წლის ბავშვებს შეტაკებებში წინა ხაზზე უშვებენ მოლოტოვის კოქტეილებით ხელში, თან ეუბნებიან, პოლიციელებს ესროლეთო. ესენი ფაშისტების მემკვიდრეები არიან.



ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

# არ შეიძლება, საქართველო არ მიყვარდეს, მის მომავალზე არ ვიფიქრო...



*გვესაუბრება „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე“, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი*

**– ბატონო ალი, ალეკო ელისაშვილის თავდასხმის ობიექტი ამჯერად თქვენ გახდით. მაინც რა უნდოდა ამ დაუსჯელობის „სინდრომით“ გათავხედებულ პოლიტიკანს?!**

– სიმართლე გითხრათ, მეც ვერ გავიგე მიზეზი. არ მოველოდი იმ ადამიანისგან, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და თუ რამე პრეტენზია ჰქონდა ჩემთან, შეეძლო დაერეკა, შეხვედრა ეთხოვა და გვესაუბრა ამ თემაზე. როცა უდანაშაულო ადამიანს ამდენი ხალხის წინაშე აგინებ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებ, ამის პატიება ძნელია, თუმცა, ეს ალეკო ელისაშვილის ნაცადი მეთოდია. მას არც „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მდივანზე, მამუკა მდინარაძეზე თავდასხმის გამო, არც პოლიციელებზე თუ „სპეცნაზზე“ თავდასხმის გამო არ უგია პასუხი. შერჩა ყველაფერი, მაგრამ ამჯერად აღარ შერჩება. რადგან ჩემი პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ არის და ამის გამო ხელით შემეხო, ე. ი. ეს არის პოლიტიკური დევნა და ზეწოლა. ამიტომაც, მე მივეცი საშუალება სამართალდამცავ ორგანოებს, ქართულ სასამართლოს, რომ თვითონ განსაჯონ, რა დონის დამნაშავეა ეს ადამიანი. უნდათ – გაუშვან, უნდათ – გაასამართლონ. ეს მათი პრიორიტეტია. ელისაშვილმა სასამართლოში თქვა, რომ თურმე არ იცის, რომელი პარტიის წარმომადგენელი ვარ და არც მიცნობს, საერთოდ... ყველაფერი გასაგებია ჩემთვის და ამით მინდა დავამთავრო მასზე საუბარი. საზოგადოებას მობეზრდა უკვე ეს თემა. თუმცა, მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო, ჩემს მრავალ გულშემატკივარს. ამ ფაქტს იმდენი გამოხმაურება ჰქონდა როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე ქართულ მედიაში და ჩვენს მეზობელ ქვეყანებშიც, რომ უზომოდ მადლიერი ვარ თითოეული იმ ადამიანის, ვინც თანამიგრძნო და გულისხმიერება გამოიჩინა ჩემს მიმართ. დღესაც მირეკავენ, მკითხულობენ, ჩემი ტელეფონი არ ჩერდება...

**– თქვენ ნამდვილად გაქვთ იმდენი დამსახურება, ბატონო ალი, ქვეყნის წინაშე, რომ ქართველი ხალხი პატივს გცემდეთ, თუმცა, ამაზე საუბარს ერიდებით...**

– დიახ, ამაზე საუბარი არ მიყვარს, რადგან, თუკი რამეს ვაკეთებ, იმიტომ კი არა, რომ ამას ვინმე მავალდებულებს, ვაკეთებ სიყვარულით და იმ შეგნებით, რომ ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ვუდგავარ გვერდში. ბავშვობიდან, ქვეყნის სიყვარული იყო ჩემთვის პრიორიტეტი. ყოველთვის მინდოდა, რომ ჩემს თანამემამულეებს, აზერბაიჯანელებს სრულფასოვნად შეესწავლათ სახელმწიფო ენა და ყოფილიყვნენ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებული. ამ საქმეში, როგორც შემეძლო, მეც ჩემი მცირედი წვლილი შემქონდა და დღესაც ვცდილობ, აქტიურად იყვნენ ჩართული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებში, კულტურისა თუ სპორტის სფეროში და ეთნიკურად აზერბაიჯანელებმა სრულფასოვნად იცოდნენ ქართული ენა.

ყოველთვის მქონდა ურთიერთობა ისეთ დიდ ადამიანებთან, რომლებიც გამორჩეულები იყვნენ ქართულ საზოგადოებაში თავისი კოლორიტით, მოღვაწეობით, ადამიანობით... და ბევრი რამ ვისწავლე მათგან. დიდი მეგობრები მყავდა: ბატონები ვახტანგ ხარჩილავა, რეზო დოლიძე, რეზო ამაშუკელი, კახი კავსაძე... ისეთ საზოგადოებაში ვტრიალებდი, არ შეიძლება, რომ ეს ქვეყანა არ მიყვარდეს, ქვეყნის მომავალზე არ ვიფიქრო. არ შეიძლება დავუკარგო ის დიდი წვლილი, რაც ჩემს წინაშე ჰქონდა, დიდ პიროვნებას, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, რომელიც ყოველთვის პოულობდა დროს ჩემთან საუბრისთვის. თავიდან, როცა ინტერვიუებს ვაძლევდი, შენიშვნებს მაძლევდა, მასწავლიდა, მირჩევდა... ბოლოს კი, როცა უკვე თვითონ ასწორებდა ჩემს ინტერვიუებს, მეუბნებოდა, არაფერი აღარ არის საჭირო, ალი, ისე კარგად გაქვს ტექსტი ქართულად ჩამოყალიბებულიო, – ეს მე ძალიან მახარებდა. წლების წინ დაწერილ მის შეუდარებელ პუბლიკაციებს რომ გადახედოთ, ის დღესაც თანამედროვეობას ეხმიანება და კვლავაც აქტუალურია. ძალიან ერთგული, პატრიოტი და წინდახედული ადამიანი იყო და ცდილობდა, თავის გვერდითაც ასეთი ადამიანები ჰყოლოდა. თუ ხედავდა, რომ ვიღაც ნდობას არ იმსახურებდა, მას ნელ-ნელა განზე გასწევდა, ისე რომ გული არ ტკენოდა, თავისი დიდბუნებოვანი ხასიათიდან გამომდინარე...

როცა აზერბაიჯანში ვმოღვაწეობდი, ცხონებული გია ჭანტურია იყო აზერბაიჯანის პირველი ელჩი და მისი ძალისხმევით შეიქმნა პირველი აზერბაიჯანული დიასპორა. მეც მაქვს წვლილი ამ დიასპორის შექმნაში. შემდეგ დავიწყეთ მუშაობა კახსა და ზაქათალაში მცხოვრები ქართველების პრობლემებზე. შედეგად, დღევანდელი კახის, ალიბეგლოს, ალიაბადის თუ სხვა სოფლების ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა: სკოლები, კულტურის სახლები, სამედიცინო ცენტრები გახდა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი და ყველაფერ ამაში მეც მაქვს პატარა წვლილი. ჩაგვქონდა ქართული წიგნები მოსახლეობისთვის, ვეპატიჟებოდით ალიბეგლოს თეატრს თბილისში, ალიბეგლოს სკოლა დავამეგობრეთ თბილისის 62-ე საჯარო სკოლასთან და ვცდილობდით, კახში მცხოვრები ქართველები ქართულ საზოგადოებასთან დაგვეახლოვებინა. ეს იყო ჩემი სიყვარულის გამოხატულება ჩემი ქვეყნის მიმართ, ქართველების მიმართ და აზერბაიჯანელების მიმართ. მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელმაც 2008 წლის ომის დროს ჰუმანიტარული დახმარება შევიტანე გორში. მოსახლეობას საკვებიც არ ჰქონდა, მშიერი იყო ხალხი. თუნდაც კოვიდის დროს, ჩემი ორგანიზაციის თაოსნობით, სისტემატურად ვეხმარებოდით სოციალურად დაუცველთა ოჯახებს. დღესაც ვცდილობთ, გავახაროთ სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, ბავშვთა დღეს, ახალ წელს, ნოვრუზ ბაირამზე... ეს არის ჩემი პატრიოტული მოვალეობა.





**– თქვენ აქტიურად იყავით ჩართული წინასაარჩევნო პროცესებში ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში. რა განწყობა იყო ამ ადამიანებში?**

– როცა არჩევნების ჩატარება ახლებური ფორმატით გადაწყდა და თანამედროვე მეთოდი დაიტესტა, თვითონ ეს ვაიოპოზიცია და მათი პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ელექტრონული მეთოდით არჩევნების გაყალბება შეუძლებელია. შემდეგ კი რა მოხდა? – როცა ხალხის არჩევანი გამოიკვეთა, უცებ აღმოჩნდა, რომ არჩევნები, თურმე, ამ მეთოდით ყალბდება ყველაზე უკეთ. წავიდნენ, იკითხონ ერთი, ვის მისცა ხმა ხალხმა ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში, ჰკითხონ იმ ადამიანებს, ვისაც მე რეგულარულად ვხვდებოდი და ვისი განწყობაც კარგად ვიცი! – ეს იყო არჩევნები, სადაც აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ, საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგი აჩვენა, 90-იანი წლების დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ და შედეგი დადო „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. ამიტომ, კარგი იქნება თუ გაერკვევიან ეს მოტყუებული ახალგაზრდები, დღევანდელი აქციის ორგანიზატორების პროპაგანდისტები, როგორი იყო ამ ადამიანების წინასაარჩევნო განწყობა და აიძულა თუ არა ვინმემ ისინი, „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ ხმა.

თორმეტი წლის განმავლობაში რამდენი ბოროტების მოგერიება მოუხდა მმართველ გუნდს, დასავლეთისა და ვაი ოპოზიციის მიერ დაგებული ხაფანგების გამო. რა დამოკიდებულებაც დასავლეთს აქვს დღეს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის მოძულე რადიკალების დამსახურებაა... არც ერთ კანონზე მაგათ არ უმუშავიათ, ხელიც არ აუწევიათ, მხოლოდ დააზარალეს ჩვენი ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე და ვინმე ახსნის, რა აზრი აქვს ასეთი ოპოზიციის არსებობას?! აშენებულს ანგრევენ, მიღწეულს ანადგურებენ, მხოლოდ საკუთარი, პირადი კეთილდღეობის გამო, წინ მოტყუებულ ახალგაზრდობას იფარებენ, თვითონ კი, გარბიან...

**– ვამბობდით, რომ ოპოზიციას არანაირი გეგმა არ გააჩნდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სწორედ ეს ყოფილა მათი გეგმა, რასაც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ვხედავთ...**

– რა თქმა უნდა, მათ საარჩევნოდ არ გააჩნდათ არანაირი გეგმა, პროგრამა და დაპირება, თორემ არჩევნების შემდეგ კი იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ და როგორ ემოქმედათ სადღაც შორს დაწერილი სცენარის მიხედვით. ზემოთაღნიშნული თავდასხმის გამო, მოგეხსენებათ, რომ კლინიკაში მოვხვდი. იქ მოიყვანეს ახალგაზრდა პოლიციელი, რომელსაც ლოყა, პირი, ცხვირი გაგლეჯილი ჰქონდა ე. წ. მშვიდობიანი მომიტინგის მიერ ნასროლი მოლოტოვის კოქტეილით... ასზე მეტი სამართალდამცავი ჩააგდეს მათ ამ მდგომარეობაში... თვითონ აწყობენ პროვოკაციებს და შემდეგ თავადვე უნდათ, რომ თავი მსხვერპლად წარმოაჩინონ.



თუ მოვა ისეთი ძალა, რომელიც „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესად გაუძღვება საქმეს, იმსჯელებს, დადებს პროგრამას, ნორმალურ პოლიტიკას გაატარებს, – მას მიიღებს და აირჩევს საქართველოს მოსახლეობა, აბა, სულ ეს მთავრობა ხომ არ იქნება! მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანას სწორედ ის ხელისუფლება სჭირდება, რომელიც საზოგადოებამ აირჩია, რადგან სხვა გამოსავალი, სხვა ალტერნატივა, ჯერჯერობით არ ჩანს. ერთი რამ კი უნდა გაითვალისწინოს მმართველმა გუნდმა, რომ ჩამოიშოროს ის პორტირებული ადამიანები, ვინც დღემდე საჯარო სამსახურებში სხედან და წამყვან პოზიციებს იკავებენ. ის, რაც ხდება დღეს უმაღლეს სასწავლებლებში, სწორედ იმის გამო ხდება, რომ აქ აფარებენ თავს ქვეყნის მოძულე ნაციონალები, რომლებიც წამლავენ ჩვენს ახალგაზრდობას და ცდილობენ, მოსპონ ქვეყნის მომავალი. ამ თორმეტი წლის განმავლობაში გვინახავს არაერთი მოღალატე დეპუტატი, ორი მოღალატე პრეზიდენტი და ორი მოღალატე პრემიერ-მინისტრი, რომელთა სახელიც კი არავის ეცოდინებოდა დღეს, რომ არ ყოფილიყო „ქართული ოცნება“... კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებს მმართველი გუნდი და მოხდება სახელმწიფო სტრუქტურაში ყველა იმ პირის ლუსტრაცია, რომლებიც ქვეყნის განვითარებას აფერხებენ.

**ნონა ქარქაშაძე**

# ჩაფიქრებული აშშ და დაბნეული მსოფლიო




ტრამპის გაპრეზიდენტებამ მსოფლიო დააბნია, რადგან გაცხადებულია, რომ ტრამპისა და მისი გუნდის დეკლარირებულმა ფასეულობებმა დამკვიდრებული ლიბერალური დოქტრინები უნდა დაამსხვრიოს.

საინტერესოდ არ გეჩვენებათ, რომ ტრამპს ორჯერ დაუპირეს მოკვლა და ბოლო-ბოლო, მაინც ვერ მოკლეს, პირიქით, პრეზიდენტობისკენ მიმავალ ძლიერკონკურენტიან გარემოში თავდასხმებით გაპიარებულს, პრეზიდენტობა მეორედ ერგო?

დიახ, „ერგო“!

ვინმე ფიქრობს, რომ ტრამპი ამერიკელი ხალხის არჩევანია და სულაც არ არის უჩინარ ძალთა „პროექტი“?

ტრამპიც ისეთივე „პროექტია“, როგორც მანამდე სხვები იყვნენ და მომავალშიც მუდამ იქნებიან, რადგან მსოფლიოს ფარული მმართველი ერთი კაცი ან ქალი არ არის. ეს უმდიდრეს, მაგრამ გაუმაძღარ პირთა გაერთიანებაა, რომლის შესახებაც თვით ტრამპმაც ისაუბრა და ომის გამოცხადებითაც დაემუქრა ჯერ კიდევ პრეზიდენტად პირველად არჩევის დროს. მაშინ არ დასცალდა, ახლა კი დაიქადნა მოვასწრებო, — დიფ-სტეიტზე საუბარი სხვა არაფერი იყო.

მსოფლიო მმართველები გონიერი ადამიანები არიან და გონების შესაბამისი ამბიციებიც აქვთ. სწორედ ამიტომ, როდესაც მათთვის ნათელი გახდა, რომ, მიუხედავად ტიტულისა — „მსოფლიო მმართველები“, მათმა გათვლამ ნეოლობერალური იდეოლოგიის სახით კრახი განიცადა, საჭე შეაბრუნეს.

მათთვის ნამდვილად ძალზე არასასურველი უკუშედეგი მოიტანა ნეოლიბერალიზმმა. თვალნათელი გახდა, რომ მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობები გაჩნდა ყველგან, აშშ-ის ვასალი პარტნიორის, ევროპის ჩათვლით.

მათთვის ბევრი რამ გახდა ნათელი. არაერთი ორგანიზაცია და კავშირი შეიქმნა აშშ-ის საწინააღმდეგოდ აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, რაც მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს, აშშ-ის ჰეგემონიის დასრულებას მსოფლიოში.

და რატომ, მას რა შეემატა ამით სიძულვილისა და დიდი ფინანსური მოგების გარდა? მხოლოდ ფულს დახარბებული თავიანთი ქვეყნების მტრები, შავი საქმის დროებითი შემსრულებლები, ჩვენც რომ მრავლად გვყავს ნჯო-ებისა და ცალკეული პირების სახით.

ფული! ფული! ფული!

როგორც ნეოლიბერალიზმის დამკვიდრების მოსურნე „მამებისთვის“ აღმოჩნდა, ჰაერში გაუტყორცნიათ საკუთარი ქვეყნების ჯაშუშებისთვის გრანტების სახით გამოყოფილი ფულებიო, იფიქრებს ვიღაც, მაგრამ ასეა?

რა თქმა უნდა, არა! საკუთარი ქვეყნის მოღალატეები, საქართველოშიც და სხვაგანაც, საკუთარი ქვეყნების დაქცევის ხარჯზე იჯიბავდნენ ფულებს, სანაცვლოდ კი, მათი უცხოელი დამქირავებლები მილიარდებს აკეთებდნენ, ლაქიების კი თავიანთი „ღვაწლის“ საფასურად მხოლოდ სალაფავს...

მატერიალური კეთილდღეობა კარგია, მაგრამ სულზე ტკბილი ვერ არის. რაგინდ კრებსითი დასავლეთი ვიძახოთ, დასავლეთი არ არის კონკრეტულ პირთა ნაკრები, რომლებიც რაღაც ორგანიზაციების სახით წარმოგვიდგებიან ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში, დასავლეთი ხალხია, იმ ხალხს კი მშვიდობა უნდა.

და აი, როდესაც მათ მშვიდობას მიუახლოვდა ბირთვული ომის საფრთხე, მსოფლიო წესრიგის გამრიგე მამებმაც მოიქექეს თავი. ვეჭვობ, ის მსოფლიო მმართველებიც დაბერდნენ, რადგან ვხედავთ, რომ ილეთები დაუძველდათ, იმ დროში ჩარჩნენ, მთელ მსოფლიოს აშშ თავისუფლების პიკად რომ მიაჩნდა და ყველაფრის სჯეროდათ, რასაც აშშ-ისგან მოისმენდნენ...

ჩემი თაობა „ცივი ომის“ შემსწრეცაა და კიდევ ბევრი რამისაც თავის პერესტროიკა-გადატვირთვა--გადმოტვირთვიანად, მაგრამ ასეთი საშინლად დაძაბული და გამაოგნებელი სიტუაცია-დაპირისპირება კი არა, როგორც ახლაა, მიახლოებით მსგავსიც კი არ ყოფილა...

აშშ-ის პრეზიდენტების ადმინისტრაციების ისეთი მოცემულობები წაეწყო ერთმანეთს, რომ მსოფლიო ბატონობის სურვილმა ერთნაირად დააბრმავა და დააყრუა ყველა მათგანი. აბსოლუტურად უარჰყვეს აშშ-ის კონტინენტისა და მისი ტაშისდამკვრელების გარდა, ყველა და ყველაფერი, ტერმინი „საზოგადოებრივი აზრი“ დაამკვიდრეს და მსოფლიო მხოლოდ თავიანთი ხედვის ქვეყნებით შემოფარგლეს.

მსოფლიო რუკას დავხედე და უფრო აშკარად გამოჩნდა, ვინ ყოფილა „საზოგადოებრივი აზრი“ — ამ ქვეყნების თავკაცების ადმინისტრაციები: ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი გრენლანდიის გარეშე, ევროპა რამდენიმე კუნძულითა და ნახევრკუნძულით და კუნძულოვანი სახელმწიფოები, იაპონია და ავსტრალია.

უკვე გადაანაწყობილი აქვთ მსოფლიოს ფარულ მმართველებს „კარტები“ და 2025 წლის თებერვლიდან ახლიდან დაარიგებენ „დურაკას“, ვინც „გადურაკდება“, საკუთარ თავს დააბრალოსო...

ახლა შეცვლიან მეთოდებს, სრულად გააქრობენ იმ ანტიგანწყობებს, რაც ტრადიციული რელიგიების მქონე ქვეყნებში ადამიანების გრძნობებზე უხეშად მოქმედებდა; თვალს მოეფარებიან ჰიბრიდული ომის ალიანსები და დემოკრატიის დამყარების სახელით ფერად-ფერადი რევოლუციების სასაკლაოები და მათზე მიდევნებული გზააბნეული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების სანიმუშო ინდივიდები და ა. შ. ანუ ყველაფერი ის, რამაც ანტიამერიკული განწყობები შექმნა.

მსოფლიოს ფარულმა მმართველები დაფიქრდნენ და, თავდაპირველად თუ წინააღმდეგი იყვნენ, მერე გაიაზრეს, რომ გადაწყობა და ტრამპის გაპრეზიდენტება ფრიად ნაყოფიერი შედეგის მომცემი იქნებოდა — ტრამპის ხელით ფარული მსოფლიო მმართველობა ახლიდან გააძლიერებს ამერიკას, — მათი ჩანაფიქრი ეს არის. შესაბამისად, აშშ ყველანაირად შეეცდება, რომ დაიოკოს მისგან მოშორებით მდებარე ქვეყნებში სისხლისღვრისა და კაცთაკვლისადმი ისეთი მისწრაფება, რომელმაც დიდი ხანია, რაც ბრიყვულ თავდაჯერებაში ჩააგდო.

საგარეო პოლიტიკა ჩაუფლავდა აშშ-ს. რა საგარეო და „მეგობრულ“ პოლიტიკასაც ჯიუტად და მტკიცედ თავდაჯერებული აწარმოებდა მსოფლიოში სასურველ მხარეებსა და კუთხეებში, მისთვის მოულოდნელად, უკუეფექტებით დაუბრუნდა. როდესაც მიიჩნია, რომ პიკზე იყო და მიიღო გადაწყვეტილება — „ახლა ან არასდროს!“ იქ და მაშინ წაიტეხა ცხვირი. ასეთ სიტუაციაში, ტრამპი უკვე მოწინააღმდეგე ძალად კი არა, მაშველ რგოლად გამოჩნდა და მიუშვეს კიდეც.

ახლა უკრაინაში ომი დამთავრდება. უკრაინის გამბითურებელი მისი წამომწყებები ხელს დაიბანენ და დაბანილ თითს ტრამპისკენ გაიშვერენ, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ის არის, ხოლო ომი რომ საშინელებაა, ამაზე ყველა ვთანხმდებითო.

მაინტერესებს, იტყვის თუ არა პუტინი, რომ რუსეთს საზავო არაფერი აქვს უკრაინასთან, რადგან, რაც მისია, ხრუშჩოვმა მისცა უკრაინას — ის ტერიტორიები რუსეთისაა; რუსეთის შესვლა უკრაინაში, ეს იყო სპეცოპერაცია მისი მხრიდან, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო ნატო-მ უკრაინის სახელით?

საინტერესოა, იმის შიშით, რომ რუსეთი სრულად მიიერთებს უკრაინას, ყველა იმ ტერიტორიას დაათმობინებენ უკრინას, რაც ვლადიმირ პუტინმა მოხაზა? ყველა იმ პირობას შეასრულებენ, რაც პუტინმა მოითხოვა?

ვეჭვობ, რომ ასე იქნება, რადგან აშშ არ დაუშვებს მისი ტოლი ძალის სახმელეთო იმპერიის დაბადებას რუსეთის სახით, რადგან ასეთ შემთხვევაში განუსაზღვრელი დროით გადაიდება აშშ-ის მსოფლიო ერთმმართველობა და ფანატიკურად შესისხლხორცებული იდეა-ფიქსი — „ახალი მსოფლიო წესრიგი“.

არ მგონია, რომ მხოლოდ მე აღვიქვი ასე და სინამდვილეში ასე არ არის — ტრამპმა ჩინეთთან ურთიერთობის დალაგების სურვილი ისე გამოხატა, რომ ვიღაცამ ამაში ტაივანის გაწირვა დაინახა, მე კი დავინახე, რომ ტრამპმა ჩინეთს შესთავაზა, აშშ და ჩინეთი ვიყოთ პოლუსებიო. ისე აუარა რუსეთს გვერდი, თითქოს ჩინეთია სუპერბირთვული ქვეყანა და არა რუსეთი.

აშშ-ის ამოცანა ახლა მხოლოდ აშშ-ის გაძლიერებაა და ძველი დიდების დაბრუნებისკენ სწრაფვა, რაც სრულიად გამორიცხავს „პოლუსობანას“, ეს კი, უპირველესად, რუსეთ-ჩინეთის კავშირის გაწყვეტა უნდა იყოს, შემდეგ კი მათი სათითაოდ მოგუდვა, მაგრამ ეს როგორ უნდა მოხდეს? ამ ამოცანის წინაშე მდგარ აშშ-ს იმის ინტერესი აქვს, რომ ვიღაცები შეარიგოს, ან ვიღაცების განვითარებაზე იმიტომ ხარჯოს თანხები და ენერგია, რომ სხვას დარჩეს?

იმისათვის, რომ დედამიწაზე ძალთა ბალანსი არ დაირღვეს და კვლავ ორპოლუსიანობა არ დამკვიდრდეს, აუცილებელია სამი, ოთხი, ხუთი პოლუსის ჩამოყალიბება, რაც გაცილებით მეტ შანსს შექმნის დედამიწაზე მშვიდობისთვის.

რაც შეგვეხება ჩვენ, საქართველოს — ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა იმისთვის, რომ ადგილობრივი ნეოლიბერალიზმი საერთოდ განიდევნოს ქართული რეალობიდან, რასაც თავისთავად მოჰყვება მათი განდევნა პოლიტიკიდანაც, ტელეეკრანებიდანაც, განათლების სისტემიდანაც და ა. შ. ყველა იმ ნიადაგიდან, საიდანაც ნოყიერად ნაკვებები ტვინს ურეცხავდნენ მომავალ თაობებს.

თუ ევროპაც გაიწმინდა და ვფიქრობ, ასეც იქნება, საქართველოსა და დამოუკიდებელი ევროპული ქვეყნების მეგობრობა ყოველგვარი ორგანიზაციებისა და იძულებითი ვალდებულებების გარეშე, მართლაც რომ საშური საქმე იქნება ორივე მხარისთვის. რა თქმა უნდა, გარდა ამისა, საქართველოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა იდეალურად დააბალანსებს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს დასავლურ ნაწილს, რომელიც ასეთივე ჰარმონიულ კავშირში იქნება აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებთან. რუსეთის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია თურქეთის დასაბალანსებლადაც.

ეს ყველაფერი რთულ ამოცანად და შორეულ პერსპექტივად ჩანს, მაგრამ გონივრული ნაბიჯებით ძალზე მარტივი და სწრაფად მიღწევადია...

ზოგადად, დიდი იმპერიების მიზნები არასდროს იცვლება, არც მადა და ამბიციები უმცირდებათ, სწორედ ამიტომ, პატარა რომ ხარ და გიგანტების საბრძოლო ძალას ვერ გაუტოლდები, გონივრული ლავირება უნდა შეგეძლოს – პოლიტიკოსი უნდა იყო და არა პოლიტიკანი, დიპლომატიის ნიჭი ნამდვილად უნდა გქონდეს, დიპლომატის სკამზე კი არ უნდა იყო დადებული...



არაფერი შემთხვევით არ ხდება. ჯეფრი საქსისა არ იყოს, რასაც ბოლო დროს ვხედავთ, ეს არის ბაიდენის ადმინისტრაციის გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

საქართველოში რუსეთისთვის „მეორე ფრონტის“ გახსნა ისევ სახელდახელოდ წამოსაწყებად არის გაწერილი ბაიდენის ადმინისტრაციის მოსასწრებ გეგმაში, თუ საქართველოში 26 ოქტომბრის შემდგომ მიმდინარე მოვლენების შედეგებით უკვე ხვდებიან, რომ ვეღარ მოესწრება, ამ დღეებში საბოლოოოდ გამოჩნდება...

მოკლედ რომ მოვჭრა, ნურავის მოგატყუებთ აშშ-ის გაკეთილშობილებულის ნიღაბი!

მანამდე კი, 2025 წლის 20 იანვრამდე, გვინდა თუ არ გვინდა, იმის შესაფერისად უნდა ვიტორტმანოთ, როგორი ამპლიტუდითაც აასხმარტალებს კუდს სულთმობრძავი ლიბერალური ფაშისტი გველეშაპი...

**„საერთო გაზეთი“**



# ძალადობრივი პროტესტი მიუღებელია!

გულახდილად გეტყვით, რეგიონებში ისე მძაფრად არ იგრძნობა დედაქალაქში მიმდინარე მღელვარების ექო და დრამატულობა, როგორიც თბილისში.

თითქმის 12 დღეა საპროტესტო გამოსვლები მიმდინარეობს. სოციალურ ქსელში, პრესაში, ტელევიზიებში გამოითქმება ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები, უამრავი მოსაზრება და დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობისადმი.

სიმართლე ერთია და მარადიული ჭეშმარიტების მატარებელი - ძალადობრივი პროტესტი მიუღებელია!

ოპოზიციას ვურჩევ, საღად იაზროვნოს და ჯანსაღ პროცესებში მიიღოს მონაწილეობა. რევანშისტული ქცევა ძირშივე შეცდომაა და განწირულია მარცხისთვის. საბოლოო გამარჯვება მუდამ სიმართლის მხარესაა.

პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა: რომ „ქართველებისთვის ევროპელობა იდენტობის არსია; საქართველო ერთ- ერთი ყველაზე პროევროპული ქვეყანაა საზოგადოებრივი აზრის მიხედვით და მუდამ ასე იყო, ის ევროპული თანამეგობრობის ნაწილია და შეუძლებელია ევროპის ისტორიის ნორმალური გაგება, პოლიტიკური ევროპის სადღაც, უკიდურესად აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს გარეშე“ - უზადო ნათქვამია. მისი განმარტებით „ხალხმა მხარი ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა.“

რადიკალური ოპოზიცია იმ მაიმუნს დაემსგავსა, რომელიც სარკეში იხედება, საკუთარი სახე არ მოსწონს და რაღაცეებს ჩლიფინებს. თქვე ავტორიტეტშელახულებო, საკუთარი სახე და მდგომარეობა თუ არ მოგწონთ სარკის გატეხვა გიშველით?

მაიმუნიც კი არ ტეხავს სარკეს.

ტყის ბინადარა ზოგიერთ თქვენგანზე მიხვედრილია.

ამ ფონზე უაზრობაა პატარა ჯგუფმა, გადაძალოს დიდი ჯგუფი. მიუღებელია „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს უმრავლესობისაგან მიღებული მანდატები. მილიონზე მეტი ადამიანის ნდობის კოზირი აქვს და ვალდებულია ის დაიცვას.

თუ საჭირო გახდება ჩვენ გავალთ ქუჩაში და ნახოს რადიკალებმა და მიკერძოებულმა ევროპელებმა რამდენად მეტი ვართ მტაცებლად ქცეულ ოპოზიციაზე. ბოლოს და ბოლოს თუ მორევაზეა საუბარი, მაშინ ჩვენს თმენას დაედება ზღვარი და ნახავენ რა შეგვიძლია - ნახევარზე მეტი საქართველო თბილისში ჩამოვა.

რბილადაა ნათქვამი ოპოზიციური ჯგუფები რადიკალები არიანო. თავიანთი ქმედებებით ისინი ექსტრემისტულ ორგანიზაციას დაემსგავსნენ.

ევროკავშირში შესვლა არ უნდა დაემსგავსოს, საბჭოთა კავშირში ყოფნას, როცა ყოველგვარი უფლებები შეკვეცილი გვქონდა. მოსკოვის კარნახი და უსიტყვო მორჩილება სავალდებულო იყო. ჩვენ გვაქვს ეროვნული განუმეორებელი სახე. ტრადიციები, ადათი და მისწრაფებები. თუ ესენი არ იქნება გათვალისწინებული და მუდმივი წნეხის ქვეშ ვიქნებით, მაშინ რა ჯანდაბა გვინდა ასეთ ევროპაში?

ცხადია, ევროპაში იცვლება ნარატივი. დიდ ქვეყნებში საფრანგეთსა და გერმანიაში მდგომარეობა არასტაბილურია. ამიტომ, მათი და სხვების კიკინი სრულიად უადგილოა.



ჩემი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სახლში, ხატებთან ვანთებ სანთელს და ვთხოვ უფალს, ვევედრებოდი საქართველოში მდგომარეობის დამშვიდებას. რომ ყოველივე არ გადაიზარდოს სამოქალაქო ომსა და გამოუსწორებელ დაპირისპირებაში.

მახსოვს, მწარედ მახსოვს, 90-იანი წლების მოვლენები. განუკითხაობის ქაოსი. როცა ქართველი ქართველს ესროდა, კლავდა. ანგრევდნენ და წვავდნენ სახლებს. მაშინ შვილებთან ერთად იძულებული ვიყავი ბუნკერში ვყოფილვიყავი, რადგან დამრბევი და მკვლელი არ გავმხდარვიყავი.

ვწუხვარ, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს ეს ზღვარგადასული მდგომარეობა. არ მინდა ჩემი და სხვების შვილიშვილები იყვნენ ამის მომსწრე და მონაწილენი.

ამიტომ, არეულობის მოწყობა არასდროს არ არის გამართლებული და მისაღები, რადგან ეს ძაბავს ურთიერთობას და საბოლოო ჯამში მოვლენებს სამოქალაქო არეულობისაკენ უბიძგებს.

კლასიკური წესია: დიალოგით უნდა წყდებოდეს სადაო საკითხები. აი, ჩემი მოკრძალებული რჩევა და სურვილი.

საქართველო დღეს იმყოფება საშიშ ზონაში. ირგვლივ ომია. ასეთ დროს საჭიროა მშვიდობის შენარჩუნება. ერთიანობისა და ეკონომიური, დემოგრაფიული მდგომარეობის წახალისება და არა გახლეჩა, დაპირისპირება.

თუ ვინმე მეტყვის, რომ ვერ ხედავთ ამდენ დაპატიმრებებს, დარბევებსა და დაზიანებულებსო. დიახ, ვხედავ!

ვხედავ, მეორ მხარესაც ბარიკადებს, პოლიციაზე თავდასხმებს, სახელმწიფო დაწესებულებების დარბევებს...

ამიტომ ჩემი წერილის სათაურად გამოტანილი სიტყვებიც მეტყველებს, რომ ძალადობრივი პროტესტი მიუღებელია. მას შეიძლება ქვეყნისთვის გაუთვალისწინებელი და საშიში შედეგები მოყვეს.

**ბორის დავითაია**
**სენაკის საპატიო მოქალაქე**

# ომი ცეცხლთან, რომელიც საქართველომ მოიგო

## გამოძახილი წარსულიდან...

...საქართველო ახალ ომშია ჩაბმული.

ეს არის ომი ცეცხლთან, რომელიც ერთიმეორის მოყოლებით ჩნდება სხვადასხვა რეგიონში და ყველა კუთხიდან უტევს ქვეყანას.

რა მასშტაბების იყო ეს ომი, ამაზე თუნდაც ის ჩამონათვალი მეტყველებს, სადაც ნათლად ჩანს, სად და როდის ჩნდებოდა ცეცხლის კერები.

ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ამ ომში საქართველო იმარჯვებს. ეს გამარჯვება კი თავისით არ მოსულა, ის დიდი თავდადების და თავგანწირვის შედეგად დაიბადა.

რამდენიც არ უნდა იძახონ ნაცებმა და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უნიათო და უსუსურიაო, ამ საგანგაშო და საბედისწერო დღეებმა გვაჩვენა, რომ ყველაფერი პირიქითაა — საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია კრიზისულ სიტუაციაში იმოქმედოს ოპერატიულად, ეფექტურად, ორგანიზებულად. მოახდინოს ყველა საჭირო ძალის მობილიზება და ერთი მიზნით შეკვრა.

ჩვენ ვაკვირდებით პრემიერ-მინისტრის, სახელმწიფო სტრუქტურების სხვა ხელმძღვანელების განცხადებებს, სატელევიზიო ჩართვებს და კომენტარებს და ამ დაკვირვებისას ერთ სასიამოვნო და მისასალმებელ დასკვნამდე მივედით — როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე ხელისუფლების სხვა წევრები, მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე ლაპარაკობენ ლაკონურად, სადად, მოკრძალებულად.

ისინი არ თამაშობენ გმირობანას, არ ცდილობენ თავიანთი ქმედებები, პიარისთვის გამოეყენებინათ და მოსახლეობის წინაშე თავი მოეწონებინათ — შემოგვხედეთ, რა მაგრები ვართ, შემოგვხედეთ, როგორი თავდადებით ვებრძვით სტიქიასო.

ისინი აკეთებენ საქმეს, აკეთებდნენ ჩუმად, ზედმეტი ხმაურისა და პათეტიკის გარეშე.

მათ ადგილას ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი გმირულ-ჰეროიკული სიტყვების რახარუხი, როგორი პატრიოტული ყიჟინა და გნიასი იქნებოდა ქვეყანაში.



აი, ეს განსხვავებაა „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

ნაციონალები მოსახლეობას „ეკაჩავებოდნენ“, „ქართული ოცნება“ ისე აკეთებს ძალიან დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს, რომ ამ საქმეების შესახებ ხანდახან არც ლაპარაკობს.

ამ ამბავმა „კავკასიური ცარცის წრე“ გამახსენა, როცა მოსამართლე აზდაკი ცდილობს დაადგინოს, ვინ არის პატარა მიშიკოს ნამდვილი დედა.

— შუაზე ხომ არ გავხლეჩ ბავშვს, — ამოიქვითინებს ნამდვილი დედა და ბავშვს ხელს შეუშვებს.

აი, ეს ფსევდოპატრიოტები, ეს ძალადმაცხონეები, ეს ქვეყნის მავნებლები თურმე იმაზეც კი არიან თანახმა, თუნდაც მთელი საქართველო გადაიწვას და გადაიბუგოს, ოღონდ აქედან რაღაც პოლიტიკური სარგებელი ნახონ.

თქვე დემაგოგო პოლიტაფერისტებო, რა შუაშია ვიღაცის ოკუპანტობაზე საუბარი იმ დროს, როცა ქვეყანას ცეცხლი უკიდია?

შენი ქვეყანა არ უნდა გეცოდებოდეს, არ უნდა გენანებოდეს, არ უნდა გებრალებოდეს და ცეცხლში ჩასანთქმელად უნდა იმეტებდე?

ამ თქვენი განცხადებებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ არ გიყვართ თქვენ ეს ქვეყანა, არ გტკივათ თქვენ ეს ქვეყანა, ის არ არის თქვენთვის სამშობლო, ის მხოლოდ თქვენი პოლიტიკური ამბიციებისა და თქვენი ავადმყოფურ-მანიაკალური მისწრაფებების განხორციელების პოლიგონია და მეტი არაფერი.

მთლიანად მთავრობას, არაფერი აქვთ თავის სამართლებელი ვინმეს წინაშე. მათ გააკეთეს შესაძლებლობის მაქსიმუმი, რომ ქვეყანა დიდი ტრაგედიისაგან ეხსნათ.

**ვახტანგ ხარჩილავა,**
**2017 წ. 6 სექტემბერი**

# წლების წინ ზელენსკიმ ჯო ბაიდენის მხარდაჭერა ამჯობინა, ახლა კი მოწყალებას ტრამპს სთხოვს

მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრება ისეა არეული, არავინ უწყის, რა შეიძლება ხვალ მოხდეს. ძალიან ბევრი რამ კი იმაზეა დამოკიდებული, რომელ კურსს აირჩევს უკვე მეორეჯერ არჩეული ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. პარადოქსული ფაქტია, მსოფლიოს ე. წ. წამყვანი ქვეყნები ელოდებიან, როდის განახორციელებს ტრამპი თავის გეგმებს. თავისთავად, აშშ ყოველთვის მიიჩნეოდა და არის კიდეც მსოფლიოში განხორციელებული პროექტების წარმმართველი, მაგრამ იყო პერიოდი, როდესაც ამ ლიდერ ქვეყანას უწევდა, ანგარიში გაეწია ევროპისა თუ სხვა კონტინენტის ქვეყნებისთვის. თუმცა, ეს ყოველივე წარსულში დარჩა.

ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე. ევროკავშირის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში, საფრანგეთში, ფაქტობრივად, პოლიტიკური კრიზისია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრს მიშელ ბარნიეს და მის მთავრობას საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანომ უნდობლობა გამოუცხადა — 557 დეპუტატიდან 331-მა მათი გადაყენების წინადადებას დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბარნიეს მთავრობამ მხოლოდ



90 დღე იმუშავა. მსგავსი შემთხვევა თანამედროვე საფრანგეთის ისტორიაში 1960 წლიდან აღარ ყოფილა. მთავრობის გადაყენების მიზეზად ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისი დასახელდა.

უკვე ყოფილმა პრემიერმა თხოვნით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს მთავრობის გადადგომის თაობაზე. მართალია, თხოვნა დაკმაყოფილდა, მაგრამ ოპოზიციური პარტიები თავად პრეზიდენტ მაკრონის გადადგომასაც მოითხოვენ. თუმცა, იგი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს. უფრო მეტიც, მან მოსახლეობას მიმართა „თქვენ მე უკვე მეორედ ამირჩიეთო“.

საიდუმლო არავისთვის არის ის გარემოებაც, რომ მაკრონი ორაზროვანი, ავანტიურისტული გამოთქმებითა და მოქმედებით გამოირჩევა. გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე წლის წინ მისი გამონათქვამი „ნატო-ს ტვინის სიკვდილის“ შესახებ, რაც მალევე გადათქვა. საერთოდაც, საფრანგეთის მოსახლეობის 53% მაკრონის მმართველობის წინააღმდეგია. რეგიონებში ამ მხრივ უფრო კატასტროფული მონაცემებია. მიუხედავად მაკრონის მცდელობისა, როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება ვადის ამოწურვამდე, ეს სულ უფრო ნაკლებად სავარაუდო ხდება, რადგან მისი გაპრეზიდენტების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა დაღმავლობის გზას დაადგა.

არანაკლებ სავალალო პოლიტიკური ვითარება შეიქმნა სამხრეთ კორეაში, რომელიც ამერიკის ფორპოსტად მიიჩნეოდა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში. ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა იუნ სოკ იოლმა, როგორც კი საფრთხე იგრძნო, სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. ოპოზიცია აპირებდა მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებას კორუფციული დანაშაულებისთვის. ცნობილია, რომ მისი მეუღლე ძვირფას საჩუქრებს იღებდა, რაც ქრთამის ტოლფასია. ამიტომაც გადაწყვიტა პრეზიდენტმა სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება. თუმცა, პარლამენტმა შეძლო კანონის გაუქმება. შედეგად, გადადგა თავდაცვის მინისტრი, რომელმაც პრეზიდენტს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაზე თანხმობა განუცხადა. მოგვიანებით თანამდებობა დატოვა შინაგან საქმეთა მინისტრმაც. მოკლედ, სამხრეთ კორეაში სამთავრობო თუ პოლიტიკური კრიზისი სახეზეა, ყოფილი პრეზიდენტის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით.

ევროკავშირში ეკონომიკასა და პოლიტიკურ საკითხებში ერთ--ერთი წამყვანი ქვეყანა გერმანიაა. სამწუხარო ფაქტია, რომ იქაც პოლიტიკურმა კრიზისმა დაისადგურა. მომავალი წლის დასაწყისში გერმანიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია ჩანიშნული, რომელში გამარჯვების შანსი მოქმედ პარტიას ნაკლებად აქვს. დღევანდელი გამოკითხვების შედეგებით, მოქმედ კანცლერს, ოლაფ შოლცს, მოსახლეობის 20 %-ზე ნაკლები უჭერს მხარს.



აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამივე ქვეყანა — საფრანგეთი, გერმანია და სამხრეთ კორეა აშშ-ის უახლოესი მხარდამჭერია. ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ თავად აშშ-ის მიერ არასწორად გატარებულ პოლიტიკაზე, რაც აღნიშნული ქვეყნების საშინაო პოლიტიკაშიც გამოვლინდა.

გასული კვირა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ევროპის კონტინენტისთვის. 2019 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად დამწვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი აღადგინეს. მართალია, ხელოვნებათმცოდნე მეცნიერები და თეოლოგები უკმაყოფილოები არიან განახლებული ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურით, მაგრამ მთავარია, რომ ევროპის ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული რელიკვია აღადგინეს.

სამწუხარო ფაქტია, რომ ქრისტიანული ფასეულობის მქონე ისტორიული ტაძრის აღდგენა საფრანგეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ, უფრო ზუსტად, პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღსგენის საზეიმო ღონისძიება პომპეზურად გაიმართა. საფრანგეთის დედაქალაქში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეთაურმა მოიყარა თავი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ახალარჩეულ აშშ-ის პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს ეკავა. მასთან შესახვედრად, მისასალმებლად თუ ხელის ჩამოსართმევად დიდი რიგი იდგა. თუმცა, ტრამპს ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

პარიზში მასპინძლის უფლებით ისარგებლა მაკრონმა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ტრამპთან შეხვედრა „გაუხერხა“. საერთო ჯამში, მათი ურთიერთობა 30 წუთამდე გაგრძელდა.

თავისთავად, დონალდ ტრამპთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ თავად აშშ-ის პრეზიდენტი გულგრილი იყო, რაც გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ ხაზგასმით აღნიშნა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 2020 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ტრამპმა ზელენსკის არაერთხელ მოსთხოვა მისთვის ის დოკუმენტები გადაეცა, რომლებიც ჰანტერ ბაიდენის კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობას ადასტურებდა, მაგრამ მაშინ ვოლოდიმირმა ჯო ბაიდენის მხარდაჭერა ამჯობინა, ახლა კი მოწყალებას ტრამპს სთხოვს.

და კვლავ „ნოტრდამ დე პარის“ აღდგენის ღონისძიების შესახებ. აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი პარიზში არ ჩავიდა, სამაგიეროდ, იქ ჯილ ბაიდენი და მათი ქალიშვილი იმყოფებოდნენ. სამაგიეროდ, ბაიდენი აქტიურად განიხილავს უკრაინისთვის 24 მლრდ დოლარის დახმარების გადაცემას. თუმცა, კონგრესის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა მის იდეას ცივი წყალი გადაასხა: „ჩვენ ახალი პრეზიდენტი გვყავს. დაველოდებით ახალი მთავარსარდლის გადაწყვეტილებას და იქიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ“, — განაცხადა სპიკერმა.



ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრის კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც აქტიურად განიხილება აშშ-ში, ზელენსკის ჩაცმულობაა, რასაც აშშ-სა და საფრანგეთში პკარიზში გამართული ღონისძიებისა და ტრამპის მიმართ უპატივცემულობად აღიქვამენ.

გასულ კვირას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა თანამდებობა დატოვა და თავი რუსეთს შეაფარა.

ასადის საწინააღმდეგოდ შეტევა 27 ნოემბერს დაიწყო. ამბოხებულებმა ორ კვირაზე ნაკლებ დროში ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და მიიღეს კარტბლანში გარე მოთამაშეების უმეტესობისგან, რომლებიც ამა თუ იმ გზით ახდენენ გავლენას სირიაზე. ასადის მოკავშირეები, რუსეთი და ირანი ცდილობდნენ მის დახმარებას, მაგრამ მათი რესურსები შეზღუდული იყო რიგი გარემოებების გამო (ომი უკრაინაში და პროირანული ძალების განადგურება ლიბანსა და სირიაში ისრაელთან ომის შედეგად). მალე დაირკვა, რომ ასადი რეალური დახმარების გარეშე დარჩა, შედეგად სირიის არმია სწრაფად ჩამოიშალა...

სირიაში მიმდინარე 13-წლიან ომში, თითქმის 500 000 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 300 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. მსხვერპლის რეალური რაოდენობა შეიძლება ბევრად მეტი იყოს. 100 ათასი სირიელი ოფიციალურად ითვლება „დაკარგულად“, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინიც ან მოკლეს ან დაიღუპნენ ასადის ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. სირიის ომამდელი, 16,5 მილიონი მოსახლეობიდან 6,5 მილიონზე მეტი გაიქცა საზღვარგარეთ, ძირითადად მეზობელ თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში, სულ ცოტა, 1 მილიონი კი - ევროპაში.

პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, რომ ბაიდენის ხელისუფლება დონალდ ტრამპს ყველა რეგიონში მძიმე მემკვიდრეობას დაუტოვებდა, რაც სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა.

**გია ბურდული**

# კლიმატის ცვლილება და ამოუცნობი საქართველო




ბაქოში, გაერო-ს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციას გაერო-ს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერეში და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილაჰამ ალიევი მასპინძლობსო, მოვკარი ყური და გამახსენდა ევროპის ქვეყნების ცალკეული პარტიების წარმომადგენლების აგრესიული გამოსვლები, კმარა ეს სიგიჟეები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებითო. კლიმატი რომ ნამდვილად შეიცვალა, ფაქტია, ჩვენც ვართ მომსწრე, ის თაობა, „კომუნისტური გადმონაშთები“ რომ დაგვარქვეს. აქამდე რომ არასდროს დავინტერესებულვარ, ახლა გადავწყვიტე მომესმინა, რას ამბობდნენ კლიმატის ცვლილების შესახებ.

ვფიქრობ, რასაც ახლა მე ვიტყვი ხალხისთვის გასაგებ, არაოფიციალურ ენაზე, დაგაინტერესებთ. შესაძლოა, ზოგი თქვენგანი არ დამეთანხმოს, მაგრამ არც დათანხმებას ვითხოვ და არც საკამათო არავისთან არაფერი მაქვს, მე მხოლოდ ფაქტებით მიყვარს საუბარი და არც საკუთარი აზრის გამოთქმას ვერიდები. ამდენად, აღშფოთების ნაცვლად მშვიდად გადაფურცლეთ გაზეთი.

ბაქოს კონფერენციას წინ უძღვოდა ანგარიში, სადაც ეწერა, რომ ტემპერატურა, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე, მკვეთრად მომატებულია, რაც შეიძლება შეუქცევადი გახდეს კლიმატისთვის მთელ დედამიწაზე. კლიმატის ჩარჩო-კონვენციის მხარე საქართველოც არის, ამ კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნის პრემიერიც იყოფებოდა, ამდენად, ამ თემით ჩემი დაინტერესება გასაკვირი არ არის.

ჩემი წერის სტილი ასეთია, — ვესაუბრები მკითხველს, თითქოს წინ მიზის, შესაბამისად, ვსაუბრობ შინაურულად და უმარტივესად გასაგები სიტყვებით, რადგან, რაც მე ვიცი, მინდა, რომ სხვასაც რამენაირად გავაგებინო, სხვათა დასკვნების გამოტანა კი მე აღარ მეხება...

ვეცნობოდი ბაქოში გამომსვლელების ტექსტებს და აბსოლუტურად ვეთანხმებოდი იმ ევროპელ პოლიტიკოსებს, რომლებიც „კლიმატური სიგიჟეების“ წინააღმდეგ გამოდიან — წმინდა წყლის ბლეფია, ფულთან დაკავშირებული სხვადასხვა კომბინაციის ჩატარების საშუალებაა. ელემენტარულია, ადამიანს არ აქვს ის ძალა, რომ დედამიწაზე მზის პატრუქს ან აუწიოს, ან ჩაუწიოს — გლობალურ დათბობასთან ბრძოლა ამ რაღაც ემისიების თამაშით რამენაირად წარმოგიდგენიათ?

რა პრობლემის წინაშე დგას მსოფლიო კლიმატის ცვლილების გამო, თეორიულად უკვე წარმოდგენილია, დადნება არქტიკა, ანტარქტიდა, მყინვარები და წყალი წაგვიღებს, მაგრამ რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა, რომ ეს არ მოხდეს, ან რას აკეთებენ, — უკვე „ის სიგიჟეა“, რასაც გონიერი ევროპელები აპროტესტებენ.

2010 წელი იყო, როდესაც სრულიად შემთხვევით შევხვდი მოდელირებულ სასამართლოზე „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“, ცხონებულ მერაბ ჯიბლაძეს. შესვენებაზე გლობალურ დათბობაზე ვსაუბრობდით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ლაზერების ფიზიკისა“ და „კვანტური ელექტრონიკის“ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დამაარსებელ ადამიანთან ვსაუბრობდი. კაცი, ფიზიკოსი, 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, 1993 წლიდან აშშ-ის ფიზიკური საზოგადოების წევრი, აღშფოთებული იყო, ვის ასულელებენ ესენი, რა „სითბური გაზების ემისიები“, კვოტები უნდათ დააწესონ, რომელმა ქვეყანამ რა და რამდენი მოიხმაროს, რომ დიდ ქვეყნებს არაფერი მოაკლდეთ პატარა ქვეყნების ხარჯზეო.

მაშასადამე, რას გვაბრიყვებენ, რომ თუ მე, პაწაწინა საქართველო არ შევამცირებ სითბური გაზების ემისიას, დადნება არქტიკა და ანტარქტიდა, წყალქვეშ მოექცევიან კუნძულოვანი სახელმწიფოები, წყლით დაიფარება ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროებზე მდებარე სახელმწიფოები?

როგორც ბაქოს კონფერენციიდან გავიგე, საქართველოს ადრე 31%-ით შემცირების ვალდებულება გვქონია აღებული, ახლა კი ახალი ვალდებულება აგვიღია, რომ 2030-2050 წლებისთვის 50%-მდე შევამცირებთ. საინტერესოა, ის დიდი სახელმწიფოები, რომელთაც ნაწილობრივ ან სრული ჩაძირვა ემუქრებათ, რამდენპროცენტიან ვალდებულებას იღებენ? აი, ეს არის „ის სიგიჟე“!

ელემენტარული მათემატიკაა — პატარა საქართველოს, პირობითად 10 რომ მაქვს და 50%-ით შემცირების შემდეგ 5 დამრჩება, რამდენჯერაც მეტი ხარ საქართველოზე, აშშ რომ ხარ და 50%-ით შეამცირებ, ერთნაირად აკლდება დედამიწას ჩვენი წილი? რაც აშშ-ს დარჩება, იმაში 10-ჯერ ჩაეტევა კიდევ საქართველოს 50%-იანი წილი — რატომ ვაბრიყვებინებთ თავს!

რა კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციები, ყველანაირ იდიოტობაში ჩვენ რატომ გვაქვს თავი გაყოფილი! არაფერი, რაც კი ქვეყნისთვის საკეთილდღეო და პრივილეგიაა, არაფერი გვეკუთვნის და თუ კუნძზე თავია დასადები, პირველები ვართ და ხელსაც სიხარულით ვაწერთ...

რა თქმა უნდა, კლიმატის დაცვის საქმეში ჩართულები არიან გარემოს დამცველები და არასამთავრობო სექტორი — ამ გრანტიჭამიების დაინტერესებით, პირადად ჩემთვის, კიდევ უფრო ნათელია, რომ ეს „ის სიგიჟეა“.

დათბობის კვალდაკვალ კიდევ რას ელიან — გაჩნდა ახალი ტერმინი „კლიმატმიგრანტები“. კლიმატური პირობების გამო, თურმე ხალხი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის. „ჭკვიანი თავები“ ამბობენ, რომ, თუ ყველა სახელმწიფომ არ შეამცირა ემისიები, კლიმატმიგრანტების რაოდენობამ, შეიძლება, ყველა ქვეყანაში მოიმატოს, რაც შემაშფოთებელია.

იყო გლობალური გამყინვარება, ახლა იქნება გლობალური დათბობა, მანამდე, ალბათ, უკვე იყო გლობალური დათბობა, დედამიწის ღერძის გადახრაც და ყველაფერი, რაც ახლა აღსანიშნად და შემაშფოთებლად მიგვაჩნია და ა. შ. ვინ ეკითხება ადამიანს კოსმოსისა და პლანეტების ამბავს? მიკვირს, დედამიწის ღერძის გასწორებაზეც რომ არ იმართება კონფერენციები და ვიღაც არ აგროვებს ამ „საშური საქმისთვის“ ფულს...

გლობალური დათბობის შესახებ საუბარმა მსოფლიო წარღვნა მხოლოდ მე გამახსენა, რომელიც უნდა განმეორდეს? კიდევ ბევრი რა გამახსენდა, მათ შორის, ის ვარაუდიც, რომ წარღვნამდელი ცივილიზაციიდან ყველაფერი არ გამქრალა და ყველა არ დაღუპულა... კიდევ ბევრი რამ გამახსენდა...

2015 წელს ვაშლოვანის ნაკრძალში ვიყავი ჯგუფთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ივნისის დასაწყისი იყო, მზის გულზე მოსიარულეებს ძალიან დაგვცხა. პირადად მე კედები მეცვა და საშინლად გამიხურა ფეხები. მიუხედავად ხრიოკისა, ვიფიქრე, ჩამოვჯდები ქვაზე, გავიხდი კედებს და ცოტა ხანი ფეხშიშველი ვივლი-მეთქი. ხშირად მივლია ფეხშიშველს მაგრამ შეგნებულად. ჩემეული წარმოდგენა მაქვს ფეხშიშველა სიარულსა და ჯამრთელობასთან კავშირზე. ჩამოვჯექი ქვაზე, ხელით მოვსინჯე ნიადაგი და თითქოს რაღაც შემესო. დავხედე და ნიჟარის ნატეხი იყო. ვიფიქრე, ალბათ, ვიღაცას ნიჟარების სამაჯური ეკეთა და გაუწყდა-მეთქი. კარგად მოვათვალიერე ახლო მანძილზე, სადამდეც თვალი მიწვდებოდა და არ მომეწონა ნიადაგი, ხრიოკზე ალაგალაგ ნიჟარის ნამსხვრევები იყო და ფეხში შემესობოდა. ახლოს მყოფი ლანა შემეხმიანა, აქ რა ხდებოდა ნეტავ, რაღაცაშია საქმე, ნიჟარებია დამტვრეული, კი მაგრამ, დასამტვრევად აქ რატომ წამოიღესო? ცხადია, სამაჯურის ვერსია გამოვრიცხე...

რა თქმა უნდა, ამ ამბავს ასე ვერ და არ დავტოვებდი, უნდა გამეგო, რა უცნაურობაში მოვხვდი და ვაშლოვანის ნაკრძალში, იმავე მიმართულებით მეორედაც წავედი. როგორც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლისგან გავიგე, ვაშლოვანის ტერიტორია დადასტურებულად წარმოადგენდა ზღვის ფსკერს, რამდენიმე მილიონი წლის წინათ ამ ადგილზე სარმატის ზღვა ყოფილა. ნიჟარები, რომლებსაც ჩვენ დავცქეროდით და უდიერად ვისროდით, 2 მლნ წლის ყოფილა. მე რომ მეგონა, მთის წვერზე ვიჯექი ქვაზე, ზღვის ფსკერზე ვმჯდარვარ...

7000 წლის წინანდელ მსოფლიო წარღვნას („წყარი-ღვნა“) და ატლანტიდის დაღუპვას პლატონი კოსმიურ აფეთქებას უკავშირებდა და გარკვეული თვალსაზრისით, კოლხეთის მეფის ძმის, ფაეტ(თ)ონის მითით ხსნიდა. პლატონისავე ცნობით, სწავლულმა ქურუმებმა სოლონს (ათენელი პოეტი, მხედართმთავარი, რეფორმატორი, კანონმდებელი, მიჩნეული იყო ერთ-ერთ ყველაზე ბრძენ ადამიანად. დაიბადა ძვ. წ. 638 წელს, გარდაიცვალა ძვ. წ. 558 წელს) უთხრეს, რომ ფაეთონის მითში ჩაქსოვილია სინამდვილე, ციური სხეულები დროთა განმავლობაში უხვევენ თავიანთი გზიდან და მის მსგავსად იმსხვრევიანო...

ამერიკელი მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა“ აღნიშნავს, რომ მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული ტომის, კოლხუას კულტურული მემკვიდრე, კოლხუას ერა კი დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე, ანუ ატლანტიდასა და კოლუმბამდელ ამერიკას შორის არსებობდა საზღვაო მიმოსვლა.

დონელის საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“, რომელიც ესპანეთის სამეფოს ისტორიის აკადემიის წიგნთსაცავში ინახება. იგი პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე, რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, მაიას ანბანი და ამ ანბანის წინასახე — კოლხუას ანბანი. შემდგომში მისი ხელნაწერები შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ და მაიას ანბანზე დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

დონელის ცნობებს თუ გავიზიარებთ, მაშასადამე, ქართულმა ტომმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა, მაიას ტომს შეუდგინა ანბანი და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში.

### კოლხების კვალი

„უცნაური“ და გაურკვეველი წარმოშობის უძველესი „რაღაც“ ტომები მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეშია აღმოჩენილი, რომელთაც არავისთან და არაფერთან აქვთ რაიმე მსგავსება, თუმცა ბევრი რამ დღევანდელი ქართველისთვის სრულებით არ არის უცხო. ვთქვათ, ჩიჩილაკი, რომელსაც აი(ა)ნები ტირიფის ხის ტოტისგან თლიან, სახლის აღმოსავლეთ მხარეს ამაგრებენ და ლოცულობენ; ან ყაბალახი, სიტყვები, გვარ-სახელები, ტოპონიმები და სხვ.

16 გვ. →

# კლიმატის ცვლილება და ამოუცნობი საქართველო

15 გვ.

სხვათა შორის, აი(ა)ნებივით კოლხური წარმოშობისად მიიჩნევიან კამბოჯელი კხმერები, რომელთაც გამორჩეულად ანადგურებდნენ „კომუნიზმის მშენებელი“ ჩინელები. კამბოჯელი მმართველები არ ინდობდნენ კხამერებს, რადგან აშკარა იყო, რომ ისინი სხვა რასას წარმოადგენდნენ და კაცმა არ უწყოდა, როგორ და რანაირად აღმოჩდნენ მათი წინაპრები კამბოჯაში...

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს ატლანტიდიდან მოსულ ხალხად მიიჩნევენ) პირველი კაცის სახელი არის „აიონი“ (აიასი, აიასგან, აიათი); მის შვილს ჰქვია „ფურ“, ატლანტიდურ-ფინიკიურად „ცეცხლი“, რაც კოლხურად ნიშნავს „ცხელს“, კოლხურად (მეგრულად) „ფურე“ ნიშნავს მხურვალებას — შეადარეთ „ფურნე“...

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს ჰქვია „მოლი“. ხომ არ არის ეს „მოლი“ იგივე „მოლი“, რომელიც „არგონავტიკაში“ გვხვდება და ის „მოლი“, რომლითაც მედეა ავადმყოფებს კურნავდა? — „მოლი“ წარღვნამდელი კოლხური სიტყვაა („მოლი“ ფინიკიურად ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ჰქვია).

აცტეკურ მითებში საუბარია ორ ადამიანზე, რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას „ტატა“ და „ნენა“. ეს უძველესი მეგრული (კოლხური) სიტყვებია, ნენა-ს დღესაც უწოდებენ დედას, ხოლო ტატა-ლი ამჟამადაც ლამაზს, მშვენიერს, საუცხოოს ჰქვია სამეგრელოში...




მეცნიერთა ერთი ნაწილს მიაჩნია, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური და მაიას ტომის ანბანი („კოლაუს ანბანი“). თუ ეს მართლაც ასეა, ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა „თააუთმა“, რომელსაც ეგვიპტელები მთვარის ღმერთს, „თოთს“ უწოდებენ. კოლხურში „თოუთი“— „თიუთა“ — „თუთა“ მთვარის ღვთაებაა (დამწერლობის ღმერთი). ძველ კოლხეთში ნიშნავს მთვარეს, თვეს, კვირის პირველ დღეს, სიტყვასიტყვით — მთვარის პირველ დღე, ორშაბათი. კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება „თუთაშდღა“ — მთვარის დღე...

ჰეროდოტეს მტკიცებით, ფინიკიელებმა, რომლებიც განთქმული ზღვაოსნები იყვნენ, წითელი ზღვით შემოუარეს „შავ კონტინენტს“ (აფრიკას), გაცურეს „ჰერკულესის სვეტებამდე“ (გიბრალტარის სრუტე) და კართაგენში ჩავიდნენ. ჰერაკლეს სვეტებს იქით მდებარეობდა „ბედნიერების კუნძულები“, რომელზეც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, უშფოთველად ცხოვრობდნენ და მარადიული ბედნიერებით ტკბებოდნენ. ამ კუნძულებს ახსენებს ჰომეროსი „ოდისეაში“, ჰესიოდე, ჰინდარი და ა. შ. ასევე, არაბული ლეგენდები და ზღაპრები.

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარიისა და მადეირის კუნძული ატლანტიდის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინარეისტორიულ ხანაშიც ატლანტის ოკეანეში, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებს შორის მდებარეობდა. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი, უნაჩები (გუნაჩები) იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ატლანტიდაზე ცხოვრობდნენ და ოკეანეში ჩაინთქნენ.

ვასილ იანი („ფინიკიური ხომალდი“ 1967 წ.): „უანჩები (გუანჩები) „ბედნიერების კუნძულის“ მკვიდრი მოსახლეობაა, რომელთა წარმოშობა აქამდე საიდუმლოებითაა მოცული, გარდა იმ შეხედულებისა, რომ დაღუპული ატლანტიდელებისგან წარმოიშვნენ. არსებობს ასეთი აზრიც, რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელებისა და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავენი იყვნენ. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან და მათ მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ბერბერების სიტყვებს ჰგავს, ბერბერები თავისუფლად, გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს.“




იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გემით და ისიც, რომ მოგზაურობისას ბრძენმა მოხუცმა ფინიკიელმა თიხის გამოწვის ოსტატს დაამზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა რომელზეც მოგზაურობის ისტორია ჩაიწერა. ფილები მან იმ გამოქვაბულში ჩაფლა, სადაც უანჩების წინაპარს უნდა ეცხოვრა. ბრძენი ასე ამთავრებს თავის მონათხრობს: „მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებდი ხალხს, რომელიც უსამართლოდ არ ექცევა და არ ჩაგრავს სხვას, თავისზე სუსტს და აი, მივაგენი მათ.“

თიხის „წიგნები“ სიძველეთა მოყვარულმა ექიმმა ვიქტორია მარტინმა სრულიად შემთხვევით იპოვა გათხრების დროს საიდში, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ფინიკიური ქალაქი სიდონი მდებარეობდა. ნაპოვნ „წიგნებზე“, რომელიც თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილაა, გამოსახული იყო 3-4 ათასი წლის წინ დაწერილი ასოები. მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიური და ისტორიულ თხზულებათა ნაწყვეტები, მათ შორის, ზღვაოსნის დეტალური ჩანაწერები, რომელიც საფუძვლად დაედო იანის რეალურ ისტორიას.

ფილებზე იკითხება: „უნაჩი მამაკაცები მაღალი, ახოვანი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, როდესაც მეკობრეები ესხმოდნენ თავს. ბიგვაიამ (ბიგვავა, ბიგვაია — მეგრული გვარი) ბერძნულად დაუწყო ლაპარაკი უნაჩს...“ მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს მოყვანილი თავის შრომებში იანს.

XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწყდნენ და მათთან ბრძოლაში უამრავი უნაჩი დაიღუპა, ზოგი მონად გაიხადეს და მთლიანობაში, როგორც ცალკე ტომი, უნაჩები გაქრა, აირია ესპანელებში. ამჟამად უნაჩების კუნძულზე ესპანურად ლაპარაკობენ.

1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ მიმოხილვაში, „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერისა და მოგზაურის (იგი კარგად იცნობდა საქართველოს) ელისეევის ნაშრომი, სადაც საუბარი იყო აფრიკაში, საჰარის განაპირა მხარეს, ქალაქ უარგალში (ვარგალში) მცხოვრებ მეგრელებზე. იგი წიგნში „პო ბელუ სვეტუ“ აღწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და ამბობს, რომ მოსმენილი და ჩაწერილი აქვს ქართული (მეგრული) საუბარი აფრიკაში, ახსენებს გვარებსაც; გუგუნავა, ჭანუყვაია და სხვა.

1989 წელს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გიორგი კურტანიძის წერილი, რომელიც ალჟირის ნავსადგურში ნამყოფი ქართველი მეზღვაურის, სიორიძის მონათხრობზე იყო აგებული. მისი თქმით, სხვა ქართველ მეზღვაურებთან ერთად, ნავსადგურში ნახა „ქართველი ზანგები“, რომლებიც ფრანგულ გემს ტვირთავდნენ. მათ სიორიძეს უთხრეს, რომ იქ ათი ქართველი მუშაობდა და ყველანი ერთი სოფლიდან იყვნენ; რომ უჯდასთან, მაროკოს სანაპიროსპირა ქალაქთან, ქართველების რამდენიმე სოფელია და მოსახლეობის დიდი ნაწილი გუგუნარის (გუგუნავა) გვარს ატარებსო.

პროფესორი ილია ტაბაღუა ორჯერ ჩავიდა ალჟირში 1964 და 1967 წლებში, მაგრამ ვერაფრით დაადგინა „ქართველი ზანგების გაზანგების საკითხი“.

1972 წელს გამოქვეყნდა დ. ფაშტიანის ვრცელი წერილი „აფრიკელი ქართველების“ საოცარი ისტორიის შესახებ. მათ შესახებ დოკუმენტური მასალები აქვს გამოქვეყნებული თავის წიგნში გ. მახარაძესაც „აფრიკის, ანუ უარგლელ-უჯდელი ქართველები.“

გამოჩენილი მეცნიერი ედუარდ დემოლნისი ამბობს: „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები იბერებს ეკავათ. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები, ისევე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულები და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.“

უფრო მაღლა ადის ინგლისელი მეცნიერი ა. მორტონი: „იბერიელები... გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში.“

ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული მოტოქონდრიული ანალიზის, ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებისა და ფარაონ თუთანჰამონის დნმ-ის დასკვნის საფუძველზე მეცნიერები ერთ აზრზე შეჯერდნენ, რომ ქსენი-ზანა-დალის (კოლხური, ქართული) კლანი, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს ყინულით დაფარული ოკეანით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასულა და იქაც დაფუძნებულა.

მცირედი მეცნიერული ექსკურსის შემდეგ ისევ დღევანდელობას და ნიჟარას დავუბრუნდეთ. თბილისში, მეტრო „რუსთაველის“ მატარებლების მოსაცდელ დარბაზში, მარმარილოს ერთ-ერთ (მესამე) სვეტში ნიჟარაა ჩარჩენილი. მე მხოლოდ ერთი მაქვს ნანახი, მაგრამ ამბობენ, რომ მეორეც არის, ბოლოდან მეორე სვეტში, მაგრამ ის ვერ ვნახე, შესაძლოა, იმის გამო, რომ ძალიან მაღლაა.

**მაია ჭელიძე**

**დასასრული იქნება**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: ვიანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99